პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 102 (10188)

შაბათი, 30 აპრილი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

**სოციალისტური მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ წარმოების გეგმის შესრულებისათვის, უზრუნველყავით საწარმოთა რიტმული მუშაობა! გამოავლინეთ და გამოიყენეთ მრეწველობის რეზერვები, მიაღწიეთ შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას!**

**გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!**

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან).

## ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი პარჯიული განათლების სისტემაში

საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი წარმატებებით ეგებება პირველი მაისის დღესასწაულს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებს მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია უპასუხებენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით, მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის გაძლიერებით. წინა სამაისო დღეებში ჩვენმა ქვეყანამ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ უდიდესი ზეიმით აღნიშნეს კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ოთხმოცდამეხუთე წლისთავი. ლენინიზმის დიადი მოძღვრებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების, საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონების ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევს ჩვენს კადრებს უნარიანად უხელმძღვანელონ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა კომუნისტთა პოლიტიკური განათლებისადმი, უკეთესად ეხმარებიან პროპაგანდისტებს, პოლიტსკოლებისა და წრეების მსმენელებს, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს. ნებაყოფლობის პრინციპის მტკიცედ დაცვამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პარტიული განათლების იდეური შინაარსის გაუმჯობესებას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების ცოცხალი ინტერესის გაძლიერებას. სასწავლო წლის განმავლობაში პარტიის გორის, ტყიბულის, ბათუმის, სიღნაღის, წითელწყაროს და სხვა რაიკომებმა პარტიული კომიტეტების პლენუმებზე განიხილეს იდეოლოგიური მუშაობის საკითხები და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი გამომძღვანებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის ბიურომ რამდენჯერმე განიხილა კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებანი. რაიკომი განუწყვეტლივ ზრუნავს იმისათვის, რომ კომუნისტებს განუვითაროს ინტერესი რევოლუციური თეორიისადმი, პარტიული პროპაგანდა მჭიდროდ დააკავშიროს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკასთან.

ამასთან ერთად კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების დაყენებაში და ამ საქმისადმი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. თბილისისა და ბათუმის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში არის პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის შეუფასებლობის ფაქტები, პოლიტსკოლებსა და წრეებში არადამაკმაყოფილებელია მსმენელთა დასწრება.

ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ შეასუსტა პოლიტიკური სწავლებისადმი ხელმძღვანელობა. მიმდინარე სასწავლო წლის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ნებაყოფლობის პრინციპის განხორციელების შედეგად წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა პარტიული განათლების ყველაზე მასობრივ ფორმად გადაიქცა. მაგრამ ზოგან არასწორად გაიგეს ნებაყოფლობის პრინციპი და თვითდინებაზე მიუშვეს კომუნისტთა პოლიტიკური სწავლება, კონტროლს არ უწევენ მას. უამისოდ კი შეუძლებელია პარტიული პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობა. ნებაყოფლობის პრინციპი იმას ნიშნავს, რომ კომუნისტს უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს პარტიული განათლების რომელ ფორმას აირჩევს, ხოლო პარტიული ორგანიზაცია მოვალეა იცოდეს, როგორ მუშაობს კომუნისტი თავის თავზე, რა სიძნელეები უშლის ხელს მას და რა დახმარება ესაჭიროება.

ზრუნვა პროპაგანდისტთა კადრების თეორიული და მეთოდური დონის ამაღლებისათვის პოლიტიკური სწავლების გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან უკეთესად დააყენონ პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა, განაზოგადონ მოწინავე პოლიტსკოლებისა და წრეების გამოცდილება, ბოლომდე აღკვეთონ დოგმატიზმისა და მედავითნეობის ელემენტები.

ამჟამად ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ სანიმუშოდ მოემზადონ და ორგანიზებულად დაამთავრონ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისათვის მზადება უნდა წარიმართოს პოლიტიკური სწავლებისადმი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების შემდგომი გაძლიერებისა და პროპაგანდისტული მუშაობის იდეური დონის ყოველმხრივ ამაღლების, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებების ღრმად შესწავლაში კომუნისტებისათვის დახმარების გაუმჯობესების ნიშნით.

სასწავლო წლის დამთავრებამდე არცისე დიდი დრო დარჩა. პარტიული განათლების ყველა ფორმაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად მეცადინეობა მაისის ბოლოსათვის მთავრდება. დარჩენილი დრო იმისათვის უნდა გამოვიყენოთ, რომ გულდასმით შევისწავლოთ თვითეული პოლიტსკოლისა და წრის მუშაობა და აქედანვე გავითვალისწინოთ, რომელი თემით დაამთავრებენ მეცადინეობას, განვაზოგადოთ მოწინავე პროპაგანდისტთა გამოცდილება და დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის. მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მომავალში გადაჭრით აღიკვეთოს ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევის, პოლიტიკური სწავლების მავნე რეგლამენტაციის შემთხვევები.

პოლიტსკოლასა და წრეში კომუნისტების მიერ შეძენილი ცოდნის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შემაჯამებელი მეცადინეობის მაღალ დონეზე მოწყობას. სასწავლო წლის ბოლოს პოლიტსკოლებსა და წრეებში გაიმართება ერთი ან ორი შემაჯამებელი მეცადინეობა. შემაჯამებელ მეცადინეობაზე, რომელიც გაშლილი საუბრის მეთოდით მოეწყობა, მსმენელები განიხილავენ ყველაზე მთავარ და რთულ საკითხებს გავლილი მასალებიდან, რომლებსაც თვით მსმენელები წამოაყენებენ. წარსულ წლებში მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები პოლიტსკოლების, წრეების, სემინარების, საღამოს პარტიული სკოლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტების მსმენელთა კრებებზე აწყობდნენ სასწავლო წლის შედეგების განხილვას. საჭიროა ასეთი კრებები წელსაც მოეწყოს.

აუცილებელია სასწავლო წლის ბოლოს, ადგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით, პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავეთათვის მოეწყოს თეორიული გასაუბრებანი მათთვის საინტერესო თემებზე. იმ კომუნისტებთან, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ შეძლეს თეორიულ გასაუბრებაში მონაწილეობის მიღება, უნდა გაიმართოს ინდივიდუალური საუბრები წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის საკითხებზე.

შარშან სასწავლო წლის დასასრულს კომუნისტთა კრებებზე, აგრეთვე პროპაგანდისტთა საქალაქო და რაიონულ თათბირებზე ფართოდ განიხილავდნენ პოლიტიკური სწავლების შედეგებს. ეს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება წელსაც უნდა განხორციელდეს. კრებებისა და თათბირების მომზადებულად და საქმიან ვითარებაში ჩატარება ხელს შეუწყობს პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის მზადებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ პარტიული კომიტეტების ბიბლიოთეკებმა. პარტიული ბიბლიოთეკების მოვალეობაა მოაწყონ კვალიფიციური, საინტერესო ლექციები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დამთავრება ისე არ უნდა გაიგონ, რომ ამით მთლიანად წყდება პროპაგანდისტული მუშაობა ზაფხულში. საჭიროა აქედანვე ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ზაფხულის პერიოდში სისტემატურად ეწყობოდეს ლექციები, მოხსენებები და საუბრები სკკპ ისტორიისა და თეორიის საკითხებზე, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა პარტიული ორგანიზაციების პირველხარისხოვანი მოვალეობაა. ისინი მოწოდებული არიან არსებითად უხელმძღვანელონ კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებას, ორგანიზებულად დაამთავრონ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში.

## ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

ᲕᲔᲜᲘᲓᲐᲜ, 1955 წლის 28 აპრილი.

### ᲛᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ
### ᲑᲐᲢᲝᲜ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲡ ᲙᲚᲘᲛᲔᲜᲢ ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲡ,
### ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ და გადასცეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ჩემი უაღრესად გულწრფელი მადლობა მოლოცვისათვის, რომელიც პირადად თქვენ, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამომიგზავნეთ ჰიტლერული ნატონობისაგან ავსტრიის განთავისუფლებისა და ავსტრიის რესპუბლიკის აღდგენის მე-10 წლისთავის გამო, აგრეთვე იმისათვის, რომ წარმატება უსურვეთ ავსტრიელ ხალხს დამოუკიდებელი, თავისუფალი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის საქმეში.

ფედერალური პრეზიდენტი
**ᲗᲔᲝᲓᲝᲠ ᲙᲔᲠᲜᲔᲠᲘ**

## ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

ᲕᲔᲜᲘᲓᲐᲜ, 1955 წლის 27 აპრილი.

### ᲛᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ
### ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ
### ᲑᲐᲢᲝᲜ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲡ Ն. Ა. ᲑᲣᲚᲒᲐᲜᲘᲜᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

გთხოვთ მიიღოთ ჩემი, აგრეთვე ავსტრიის ფედერალური მთავრობის უაღრესად გულითადი მადლობა მოლოცვისათვის, რომელიც გამომიგზავნეთ ავსტრიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის მე-10 წლისთავის გამო.

მე ვიზიარებ თქვენს რწმენას, რომ საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოსკოვის მოლაპარაკება უახლოეს მომავალში შედეგად მოგვცემს ავსტრიის დიდი ხნის ნანატრი სრული დამოუკიდებლობის აღდგენას და იმის მტკიცე საფუძველი გახდება, რომ უზრუნველყოთ მშვიდობა ხალხებს შორის და ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა, და სიხარულის იმედით ვადევნებ თვალყურს მოლაპარაკების შემდგომ განვითარებას, რაც დასასრულს უახლოვდება.

**ᲘᲣᲚᲘᲣᲡ ᲠᲐᲐᲑᲘ**

## ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

ᲕᲔᲜᲘᲓᲐᲜ, 1955 წლის 27 აპრილი.

### ᲛᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ
### ᲑᲐᲢᲝᲜ ᲕᲘᲐᲩᲔᲡᲚᲐᲕ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲡ,
### ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

გთხოვთ მიიღოთ ჩემი მხურვალე მადლობა ესოდენ გულითადი მოლოცვისათვის, რომელიც გამომიგზავნეთ ავსტრიის განთავისუფლებისა და რესპუბლიკის აღდგენის მე-10 წლისთავის გამო. ავსტრიის ფედერალური მთავრობა და ავსტრიელი ხალხი აგრეთვე იმედით მოელიან სახელმწიფო ხელშეკრულების დადებას, რომელიც დიდი ხნის ნანატრ სუვერენიტეტს მოუტანს ავსტრიას.

**ᲚᲔᲝᲠᲓ ᲤᲘᲒᲚᲘ**

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲡ

★

## ᲐᲕᲯᲝᲛᲝᲑᲘᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ — ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ

სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის კოლექტივს პირველ კვარტალში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ზედიზედ მეხუთეჯერ მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ავტომობილმშენებლები წარმატებით ასრულებენ გადიდებულ საპირველმაისო ვალდებულებებსაც.

ამა წლის ოთხ თვეში დავალების გადამეტებით გამოშვებულია ასობით სატვირთო ავტომანქანა. მოსკოვის საავტომობილო ქარხნის მარკის სატვირთო ავტომანქანები ამ გაზაფხულზე იმუშავებენ ალტაის, კუსტანაის ოლქის, ყაზახეთის ყამირ და ნასვენ მიწებზე.

ავტომობილმშენებლებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს. მათ წელს მილიონობით მანეთის ზოგგმითი პროდუქცია გამოუშვეს. შემცირებულია მანქანების თვითღირებულება, წარმოებს ახალი კომფორტაბელური ავტობუსის გამოშვების ათვისება. მარტო რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიღწეულია 10 მილიონი მანეთი წლიური ეკონომია, აქედან აპრილში — სამნახევარი მილიონი. (საკდესი).

## ᲕᲐᲦᲔᲑᲣᲦᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲦᲔᲑᲣᲦᲘᲐ

27 აპრილს მოსკოვის პირველი საკისრის ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის გეგმა.

საწარმოს მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები მტკიცედ იბრძოდნენ, რათა ღირსეულად შეესრულებინათ საპირველმაისო სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც ჯერ კიდევ მარტის დამდეგს იკისრეს. ახლა ეს ვალდებულებანი შესრულებულია. აპრილის დარჩენილ დღეებში პროგრამის გადამეტებით გამოუშვებენ ასეულ ათასობით საკისარსა და სხვა დეტალებს.

ქარხნის ბეჭრი მუშა საპირველმაისო შრომითს ვახტზე დადგა და შრომის დიდი ნაყოფიერების მაგალითს იძლევა. მხეხავები ფოკინა, პოდოსინიკოვა და კოსოლოპოვა, ამწყობი მიხეევი, მეჩარხე ილარიონოვა ცვლის ნორმას 200 და მეტი პროცენტით ასრულებდნენ, იძლეოდნენ საუკეთესო პროდუქციას.

ქარხანაში 23 წელიწადია მუშაობს საუკეთესო მრანდავი ა. კორობოვი, რომელმაც ხუთწლედის დაწყებიდან 18 წლიური ნორმა შეასრულა. საპირველმაისო შეჯიბრების დღეებში მან ყველაზე დიდ გამომუშავებას მიაღწია — დავალებას ყოველდღე 300-350 პროცენტით ასრულებდა. (საკდესი).

## ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲤᲧᲐᲕᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔ�გᲛᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა 18 აპრილისათვის გაანაღდა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა. საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 1951-1955 წლების სახელმწიფო დავალება შესრულებულია 100,1 პროცენტით.

ქუთაისელმა მეფეხსაცმელეებმა 1950 წელთან შედარებით მიმდინარე წლის აპრილისათვის შრომის ნაყოფიერება 45,9 პროცენტით გაადიდეს.

კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა წლის ბოლოსათვის ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვას 142.000 წყვილი ფეხსაცმელი, 1 მილიონი დეციმეტრი საზედაპირე ტყავი.

## ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის მაღარო, რომელიც გასულ წელს ჩამორჩებოდა, საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა და ახლა გეგმის გადამეტებით იძლევა მარგანეცს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. მარტში აქ 200.000 მანეთზე მეტი დაზოგეს.

მექანიზმების კარგი გამოყენებით და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით პირველმა უბანმა, რომელსაც გამოცდილი სამთო ტექნიკოსი ბ. სამხარაძე ხელმძღვანელობს, აპრილის დავალება ერთი კვირით ადრე შეასრულა და საპირველმაისოდ გეგმის გადამეტებით 2.500 ტონა მარგანეცი მოგვცა.

თავდადებული შრომის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან მაღაროს წარჩინებული ადამიანები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ფოფხაძე, აგრეთვე ა. ცუცქირიძე, ა. მაჭარაშვილი, შ. ცუცქირიძე და სხვები.

★ ★



თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი ვადამდე — 26 აპრილისათვის შეასრულა. თავი ისახელეს მუშებმა კ. ყოჩიაშვილმა, ზ. ხურციამ, ოსტატმა ე. კოჩიანმა და სხვ. **ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ:** (მარჯვნიდან) ტყავის გადამჭიმავი კ. ყოჩიაშვილი, ოსტატი ე. კოჩიანი და ზ. ხურცია მუშაობის დროს.

ფოტო შ. გოქაძისა.

## ᲞᲐᲠᲯᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ — ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. („კომუნისტის“ კორ.). ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ხელმძღვანელი კადრებით გახმტკიცების შესახებ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ აჭარის მშრომელები. აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლექტივმა სოფლად მუდმივ სამუშაოდ წასვლის შესახებ რეკომენდაცია მისცა ამავე სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს უფროსს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს ი. წივწივაძეს. ამბ. ი. წივწივაძე თავის განცხადებაში წერს:

— ახლა, როცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდების საფუძველზე დიდი მუშაობა გაჩაღდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი აღმავლობისათვის, ჩემს მოვალეობად ვთვლი უშუალოდ საკოლმეურნეო წარმოებაში ვიმუშაო. მთელ ჩემს ძალასა და ცოდნას მოვახმარ სოციალისტური მიწათმოქმედების ჩამორჩენილი დარგების აღმავლობის საქმეს. მოვუწოდებ ყველა სპეციალისტს, რომლებიც სხვადასხვა უწყებებში მუშაობენ, წავიდნენ კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

სოფლად ხელმძღვანელ სამუშაოზე წასვლის სურვილი გამოთქვეს აგრეთვე ქობულეთის რაიაღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ მ. კაკალაძემ, ქობულეთის ტორფის ქარხნის დირექტორმა ი. ცივაძემ, ხულოს რაიაღმასკომის საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილების გამგემ ე. წილოსანმა, ქობულეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ თამარ ჭიტიაშვილმა, ქობულეთის მტს-ის პარტბიუროს მდივანმა მ. დარჩიამ და სხვებმა.

## ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ — ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ

საკავშირო პროფსაბჭომ და საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ შეაჯამეს მანქანათმშენებელთა სოციალისტური შეჯიბრების პირველი კვარტალის შედეგები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიეკუთვნა მოსკოვისა და გორკის საავტომობილო ქარხნებს, სტალინგრადის სატრაქტორო, საკისარის პირველ და მეოთხე ქარხნებს.

საკავშირო პროფსაბჭოს და სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები მოიპოვეს ატე-1, ხარკოვის სატრაქტორო, ლვოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელმა, კუიბიშევის „კატკის“ ქარხნებმა.

თვრამეტ საწარმოს მიეკუთვნა მეორე და მესამე პრემიები. მათ შორის არიან მოსკოვის მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხანა, ხარკოვის საველოსიპედო ქარხანა და „კრასნი აქსაი“ (საკდესი).

## ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ

შეჯამებულია შედეგები ელექტროსადგურთა სამინისტროს საწარმოების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისა 1955 წლის მარტის და პირველი კვარტალის განმავლობაში.

საკავშირო პროფსაბჭოს და სამინისტროს გადაწყვეტილებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი პრემიები მიეკუთვნა ექვს საწარმოს. შეჯიბრების მოწინავეთა შორის არიან: ლენინგრადის ჰესი № 2, ბაქოს კრასინის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, მოლოტოვენერგოს კამისგაღმა თბოელექტროსადგური, მოსენერგოს შატურის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, ჩელიაბინსკის მექანიკური ქარხანა და სვერდლოვსკის ტორფტრესტი.

საკავშირო პროფსაბჭოსა და ელექტროსადგურთა სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები მოიპოვეს დნეპრის ლენინის სახელობის ჰესმა, კრივოიროგის სახელმწიფო რაიონულმა ელექტროსადგურმა, დონბასენერგოს ელექტროქსელის სერგოს რაიონმა, ორეხოვო-ზუევოს ტორფტრესტმა, შატურის ტორფსატრანსპორტო სამმართველომ და კუიბიშევენერგოს ენერგოგასაღებამ. (საკდესი).

## ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

27 აპრილს დამთავრდა მწერალთა სრულიად მოსკოვის კრება, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. კ. სიმონოვმა გააკეთა მოხსენება „საბჭოთა კავშირის მწერალთა მეორე ყრილობის შედეგებისა და მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის ამოცანების შესახებ“. გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროზაიკოსებმა, პოეტებმა, დრამატურგებმა, კრიტიკოსებმა, სულ 20 კაცმა.

კრებამ აირჩია სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობა 65 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია. (საკდესი).

## ᲤᲧᲘᲑᲣᲚᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲠᲔᲡᲗᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ 4 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ, 29 აპრილი. (საქდესი). ტყიბულქვანახშირის ტრესტმა 27 აპრილისათვის შეასრულა ქვანახშირის ამოღების ოთხი თვის გეგმა. ამოღებულია 4,5 პროცენტით მეტი ქვანახშირი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

# მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვისათვის

## საქართველოს მშენებელთა რესპუბლიკური თათბირი

★ ★ ★

27-28 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა საქართველოს მშენებელთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირში მონაწილეობა მიიღო 700-ზე მეტმა კაცმა — სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკებმა, არქიტექტორებმა, სამინისტროების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

თათბირმა განიხილა რესპუბლიკაში სამშენებლო საქმის ძირეულ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები.

საქართველოს სს რესპუბლიკაში საქალაქო და სასოფლო მშენებლობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ამხ. გ. ჯაბუამ.

მომხსენებელმა აღნიშნა უდიდესი მნიშვნელობა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირისა, რომელიც გასული წლის დამლევს გაიმართა. სრულიად საკავშირო თათბირის მიმართვა, თათბირზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა — ეს არის პროგრამა სამშენებლო საქმის ძირეული გაუმჯობესებისა მისი ყოველმხრივი ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მშენებლები ახალი სახელოვანი საქმეებით უპასუხებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. მშენებლები ამრავლებენ თავიანთ წვლილს მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების საქმეში, მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის და ჩვენი სამშობლოს უსუფევი ძლიერების მტკიცე საფუძველს შეადგენს.

საქართველოში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკაში, მშენებლობა სულ უფრო მეტ გაქანებას იღებს. წარმობს რესპუბლიკის მშენებლობათა აღჭურვა სრულყოფილი მექანიზმებით, იზრდება და მტკიცდება სამშენებლო ინდუსტრია. რესპუბლიკის სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ერთიან სისტემაში გაერთიანებამ შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვუმჯობესებინა მათი ორგანიზაციული სტრუქტურა, უფრო მეტად გამოგვეყენებინა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამასთან ერთად სამინისტროს მშენებლობები მნიშვნელოვნად ჩამორჩენენ სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიალიზაციის იმ დონეს, რომელიც მიღწეულია მოსკოვში, კიევში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. ჯერ კიდევ მეტად არასაკმაოდ იყენებენ ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებსა და დეტალებს.

სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებმა გასული წლის საგეგმო დავალებანი მნიშვნელოვანი დანაკლისით დაამთავრეს. ამის მიზეზი იყო სამშენებლო მოედნებზე სამუშაოთა ცუდი ორგანიზაცია, მექანიზმების სუსტად გამოყენება, მატერიალური და შრომითი რესურსების დაქსაქსვა, მშენებლობების არა თავის დროზე და არასაკმაო რაოდენობით უზრუნველყოფა საშენი მასალებით, აგრეთვე მასალების უყაირათოდ ხარჯვა. ჩამორჩენილი უბანია მშენებლობის ხარისხიც, შენობათა მნიშვნელოვანი ნაწილის საექსპლოატაციოდ გადაცემა ხდება მშენებლობის მოუთავებლად, დიდი დაგვიანებით.

სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის უდიდესი ნაკლი იყო ის, რომ მათ ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების გეგმა.

მომხსენებელს მოჰყავს მრავალი ფაქტი მშენებლობის გაძვირებისა, რომელიც გამოწვეული იყო სამუშაოთა მიმდინარეობის გაჭიანურებით, საქმის უყაირათოდ გაძღოლით, მასალების ფლანგვით, მექანიზმების ცუდი გამოყენებით. მშენებლობის გაძვირებას მეტწილად იწვევს მოსაპირკეთებელი მასალების მოპოვებისა და დამუშავების მოუწესრიგებლობა.

ლაპარაკობს რა რესპუბლიკის სასოფლო რაიონებში მშენებლობის გაზრდილი მასშტაბების შესახებ, მომხსენებელი აღნიშნავს ამ მშენებლობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებებსა და მთელ რიგ გადაუწყვეტელ საკითხებს. ქალაქის მშენებლები მოვალენი არიან სერიოზული დახმარება გაუწიონ სოფლის მშენებლებს სამუშაოთა წარმოების ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის, კადრების მომზადების საქმეში. სამინისტრომ მოაწყო სოფლის მშენებლობათა ათისთავების ერთწლიანი სკოლა; იქმნება სამეურნეო და კულტურულ-ადმინისტრაციულ შენობათა, მეცხოველეობის ნაგებობათა ტიპური პროექტები. სამინისტროს საწარმოებში დაიწყო დამზადება ასაწყობი რკინაბეტონის ფერმებისა, რომელებსაც გარეუბნისა და ცხაკაიას რაიონების კოლმეურნეობებში აწყობენ. მაგრამ ყოველივე ეს სრულიად არასაკმაოა და სამინისტრო ვალდებულია უფრო კონკრეტულად მოჰკიდოს ხელი სოფლად მშენებლობის საკითხებს.

საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების მრეწველობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ამხ. გ. ზამბახიძემ.

გასულ წელს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გეგმა მთლიანად ვერ შეასრულეს. ამან გამოიწვია სამუშაოთა გაჭიანურება რესპუბლიკის ბევრ მშენებლობაზე, მშენებლობის გაძვირება. მიღებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შედეგად მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა სამინისტრომ წარმატებით შეასრულა. მაგრამ ეს ვერ უზრუნველყოფს რესპუბლიკის ნამდვილ მოთხოვნილებას საშენ მასალებზე. სამინისტროს საწარმოებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ტექნიკურ უძრაობას, დიდია წუნი, ხშირია ტექნოლოგიის დარღვევის შემთხვევები. მოწინავე საწარმოების — საბურთალოს და სამტრედიის ქარხნების გამოცდილება, რომლებმაც შრომის ნოვატორული მეთოდების გამოყენების მეოხებით გაადიდეს აგურის გამოშვება, იმას მოწმობს, რომ რესპუბლიკის საშენ მასალათა მთელ მრეწველობას გაცილებით უფრო კარგად შეუძლია მუშაობა.

მომხსენებელი აღიარებს, რომ სამინისტროს საწარმოებს შეუძლიათ შინაარეზერვების მობილიზაციის გზით მნიშვნელოვნად გაადიდონ პროდუქციის გამოშვება. ამასთან მიღებულ უნდა იქნას ღონისძიებანი იმისათვის, რომ სწრაფად გაიშალოს ახალი საწარმოების, პირველ რიგში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნების, ინერტული მასალების კარიერების და სხვ. მშენებლობა.

თავის მოხსენებაში, რომელიც ეხებოდა არქიტექტურასა და ტიპურ დაპროექტებას მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის პირობებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურული სამმართველოს უფროსმა ამხ. ბ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა საქართველოს ბევრი ქალაქის დაგეგმარების სერიოზული ნაკლოვანებანი. რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებს დღემდე არა აქვთ განაშენიანების დამტკიცებული გენერალური გეგმები. ეს იწვევს მშენებლობის დაქსაქსვას, აღარიბებს ქალაქების არქიტექტურულ სახეს. ქალაქებში მშენებლობის წარმატებით განვითარების სერიოზული დაბრკოლებაა აგრეთვე ის, რომ შეწყობილად არ მუშაობენ მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები და უწყებები, რომლებიც საცხოვრებელ სახლებსა და ადმინისტრაციული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობებს აშენებენ. მაგალითად, თბილისში საბინაო მშენებლობას ეწევა 28 სამშენებლო ორგანიზაცია. მათი უმრავლესობა წვრილი ორგანიზაციებია, რომლებსაც საყმაო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არა აქვთ.

მოხსენების ძირითადი ნაწილი ამხ. ლორთქიფანიძემ უძღვნა რესპუბლიკის არქიტექტორთა მუშაობას. მან აღნიშნა, რომ ის კრიტიკა, რომელიც მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირზე გაისმა იმ არქიტექტორთა მისამართით, რომლებიც შენობათა გაფორმებაში არასაჭირო ზედმეტობას უშვებენ, სავსებით და მთლიანად ეხება საქართველოს არქიტექტორთა პრაქტიკას. არაფრით არ არის გამართლებული ცალკეული არქიტექტორების გატაცება კოშკური კომპოზიციებით და მრავალი დეტალით გადატვირთული რთული ლავგარდანებით. არქიტექტორები თითქმის არ იღებდნენ მხედველობაში მშენებლობის ეკონომიკის საკითხებს. ყოველივე ამისათვის პირდაპირი პასუხისმგებლობა აკისრია საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირს, რომელმაც რესპუბლიკის არქიტექტურულ საზოგადოებრიობაში არ შექმნა საქმიანი და პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო. მომხსენებელს მიაჩნია, რომ ასეთი მდგომარეობის შედეგად მნიშვნელოვანი ზედმეტობა იყო დაშვებული თბილისს, ქუთაისის, ბათუმის, გორის, სოხუმის მთელ რიგ დიდ შენობათა აგების დროს.

ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ტიპური დაპროექტების დარგში. ქალაქთმშენებლობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის ტიპური დაპროექტების სექტორის მუშაობა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა დავაყენოთ. მომხსენებელი საჭიროდ თვლის შემოღებულ იქნას მუდმივ პრაქტიკაში თათბირები არქიტექტორთა და დამპროექტებელთა მუშაობის გამოცდილების ურთიერთგასაზიარებლად.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 25 კაცმა. გამოსულებმა ძირითადი ყურადღება მიაპყრეს მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვის ღონისძიებებს. გამომეღავნებულ იქნა რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველმა ამხ. ნ. გიორგაძემ ილაპარაკა რუსთავში სამუშაოთა დიდ გაქანებაზე. ამას წინათ რუსთავის მშენებლებმა ამოქმედეს ახალი მსხვილი საწარმო: ამ დღეებში პირველი პროდუქცია მოგვცა აზოტ-ტუკის ქარხანამ. ქალაქ რუსთავის მშენებლობის განმავლობაში 100-ზე მეტი სახლი აგებულია ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენებით. წელს ასაწყობი რკინაბეტონი კიდევ უფრო ფართოდ დაინერგება რუსთავის მშენებლობათა პრაქტიკაში. ამ მიზნით ამუშავდება ახალი პოლიგონი, გაფართოვდება ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ნომენკლატურა. ამხ. გიორგაძემ აღიარა სერიოზული ნაკლოვანებანი ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მუშაობაში და ამავე დროს აღნიშნა იმის საჭიროება, რომ საპროექტო ორგანიზაციებმა გააძლიერონ ტრესტისადმი დახმარება.

მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის დაჩქარების საკითხებს მიეძღვნა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსის მოადგილის ამხ. შ. ცაგარლის, ჭიათურმშენის მმართველის ამხ. შ. ცირკაიძის, საქჰიდროენერგომშენის ტრესტის მთავარი ინჟინრის ამხ. ვ. ჩუბინიძის და სხვა ამხანაგების გამოსვლები. მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ რა ღონისძიებებს იღებენ შახტების, სამადნეების, ქარხნების, ელექტროსადგურების მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისათვის. ამ დარგში ჯერ კიდევ არის ბევრი ნაკლი, რომლებიც იწვევს ახალი საწარმოების ამუშაგების ვადების სერიოზულ დარღვევას.

თათბირზე დიდი ყურადღება მიექცა მშენებლობის ეკონომიკის საკითხებს. სსრ კავშირის სამრეწველო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა ამხ. ა. საკაშვილმა გააკრიტიკა მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობა თანხების ხარჯვისადმი კონტროლის უქონლობისათვის, უყაირათობისათვის, სხვადასხვა ფინანსური ზედმეტობისათვის, რაც საბოლოო ანგარიშით მშენებლობის გაძვირებას იწვევს. ამასთან მან თქვა, რომ ბანკის მუშაკები მოვალენი არიან აამაღლონ საკონტროლო-საფინანსო მუშაობის ხარისხი, უფრო ღრმად ჩასწვდნენ სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობას, თავიდან აიცილონ სახელმწიფო სახსრების გადახარჯვა მშენებლობებზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ამხ. კ. ზავრიევმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საჭიროა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტმა გადაჭრით იბრძოლოს პირი მშენებლობის ეკონომიკის საკითხებისაკენ. მან აღიარა, რომ ეკონომიკის საკითხები სამშენებლო მეცნიერების ყველაზე ჩამორჩენილი დარგია და რომ ამ დარგში მეცნიერებმა განსაკუთრებით დიდი მუშაობა უნდა გასწიონ.

თათბირზე მკაცრად გაკრიტიკეს საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირისა და მთელი რიგი საპროექტო ორგანიზაციების მუშაობა. საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ამხ. რ. აგაბაბიანმა აღნიშნა, რომ არქიტექტორთა ნაწილი სწორად არ ეხმაურება სამართლიან კრიტიკას, რაც არქიტექტორთა კავშირის სუსტი მუშაობის, ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობასთან მისი არასაკმაო კავშირის შედეგია.

თათბირზე გამოსულმა არქიტექტორთა კავშირის მდივანმა ამხ. მ. ლორთქიფანიძემ სწორად ცნო კავშირის მუშაობის კრიტიკა და ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ამჟამად სახავენ არქიტექტორებთან შემოქმედებითი მუშაობის გასაძლიერებლად. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურული სამმართველოს უფროსმა ამხ. ნ. აბაშიძემ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურული სამმართველოს უფროსმა ამხ. ს. ცინცაბაძემ ილაპარაკეს ბათუმისა და სოხუმის არქიტექტურაში დაშვებულ ზედმეტობაზე, კურორტების მშენებლობის გენერალური გეგმების უქონლობაზე. მაგალითად, აჭარაში ჭარნალის საბჭოთა მეურნეობის სასადილოს შენობა აგებულია ძველ-ბერძნული ტაძრის სტილით. ნაკლოვანებანი არქიტექტორთა მუშაობაში მნიშვნელოვანწილად იმით იხსნება, რომ მათი მუშაობა საზოგადოებრიობის ფართო განხილვის საგანი არ ხდება. ქალაქების მშენებლობის გენერალური გეგმების შედგენისა და დამტკიცების დაჩქარების აუცილებლობა აღნიშნეს თავიანთ გამოსვლებში ქალაქ თბილისის მთავარმა არქიტექტორმა ამხ. ა. თევზაძემ და ქალაქ ქუთაისის მთავარმა არქიტექტორმა ამხ. შ. ლომთათიძემ.

თათბირის მონაწილეთა საერთო ყურადღება მიიპყრო სამშენებლო წარმოების ნოვატორების — ტყიბულჰესის გვირაბმშენებელთა ბრიგადირის ამხ. ი. ობოლაძის და გლინმშენის (ქალაქი რუსთავი) ბრიგადირის ამხ. ვ. გვოზდიკოვის გამოსვლებმა. მათ ილაპარაკეს თავიანთი მუშაობის მეთოდებზე და გააკრიტიკეს პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობა, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას. მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილემ ამხ. გვოზდიკოვმა ილაპარაკა მოსკოვის მშენებელთა გამოცდილების ფართო პროპაგანდის აუცილებლობაზე.

სასოფლო მშენებლობის საკითხებს შეეხნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ს. ვაჩნაძეები და საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე ამხ. ა. ფირცხალავა. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მტს-ების, მეცხოველეობის სადგომებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობის ჩამორჩენის მიზეზებია სამუშაოთა ცუდი ორგანიზაცია ადგილებზე, აგრეთვე ის, რომ საკმაო პასუხისმგებლობას არ იჩენენ მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის. საკმაო გაქანება ვერ მიიღო აგრეთვე სამრეწველო საწარმოებისა და ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციების შეფობამ სოფლის მშენებლობებზე.

საქართველოს კპ სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. გაზაევმა ილაპარაკა სამხრეთ ოსეთის მშენებლობის მზარდ მოცულობაზე და გააკრიტიკა საქალაქო და სასოფლო მშენებლობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების, კომუნალური მეურნეობის სამინისტროები იმისათვის, რომ ისინი საკმაო დახმარებას არ უწევენ მშენებლობას ოლქში, მშენებლობებისადმი ცუდი ხელმძღვანელობა, ადგილებზე მუშობის მრავალი ნაკლი იწვევს სამუშაოთა უზომოდ გაჭიანურებას.

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრის მოადგილის ამხ. გ. ცინცაბაძის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. თ. ქუთათელაძის და საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველის ამხ. ა. ჩიტაიშვილის გამოსვლებში დაყენებულ იქნა მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებასთან და მასი ღირებულების შემცირებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. აღინიშნა, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას მოსაპირკეთებელი მასალების მოპოვებისა და დამუშავების მექანიზაცია, გაუმჯობესდეს მოპირკეთების სამუშაოთა ხარისხი, გაძლიერდეს ბრძოლა მექანიზმების უკეთ გამოყენებისათვის.

კავკასიის არამინერალური წიაღისეულის ტრესტის მმართველმა ამხ. დ. ბაქრაძემ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ შეიქმნას ქვის დამამუშავებელი მრეწველობის საწარმო თბილისის მარმარილოს ქარხნის ბაზაზე.

სატრანსპორტო მშენებლობის საკითხებს შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე ამხ. გ. ვარდოსანიძე და ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის უფროსი ამხ. გ. ვაშაკიძე. მათ ანგარიში წარუდგინეს საპროექტო ორგანიზაციებს, რომლებიც საკმაოდ არ უწყობენ ხელს შრომის პროგრესული მეთოდებისა და მასალების დანერგვას.

საქსახპრექტის მმართველმა ამხ. ა. ლომინაძემ მოუთხრო თათბირს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც დასახულია ამჟამად საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დააყენეს მშენებლობის პრაქტიკაში ინდუსტრიული მეთოდების დასანერგავად.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეჟავანაძე.

საქართველოს მშენებელთა რესპუბლიკურმა თათბირმა მაღალ საქმიან დონეზე ჩაიარა. იგი დაეხმარა რესპუბლიკის მშენებლებს გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, მუშაობის ნაკლოვანებათა გამოვლინებაში და ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესი ლიკვიდაციის გზების დასახვაში. თათბირი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს მზარდი სამშენებლო გეგმების შემდგომი წარმატებითი განხორციელების საქმეში.

## საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო დახმარება სხვა სახელმწიფოებისადმი. ატომის ენერგიის მშვიდობიანი-მიზნით გამოყენების კვლევის განვითარების საქმეში

საბჭოთა მთავრობის წინადადებასთან დაკავშირებით, რომ სამეცნიერო-ტექნიკური დახმარება გაუწიოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას იმაში, რომ მათ შექმნან სამეცნიერო-ექსპერიმენტული ბაზები ატომგულის ფიზიკის დარგში კვლევის განვითარებისათვის და მშვიდობიანი მიზნით გამოიყენონ ატომის ენერგია, ამ საკითხებზე მოლაპარაკებისათვის ამა წლის მარტის დამლევს და აპრილის შუა რიცხვებში მოსკოვს ჩამოვიდნენ აღნიშნული ქვეყნების დელეგაციები, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ დიდი მეცნიერები — ფიზიკოსები და ინჟინრები.

დელეგაციებთან მოლაპარაკების მსვლელობაში განხილულ იქნა ექსპერიმენტული ატომის ქვაბებისა და ელემენტარულ ნაწილაკთა აჩქარებლების დაპროექტების, დამზადებისა და კომპლექტური მიწოდების კონკრეტული საკითხები, კადრების მომზადებისა და სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ ქვეყნებში მოაწყონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ატომგულის ფიზიკის დარგში და გამოიყენონ რადიაქტიური იზოტოპები მედიცინაში, ბიოლოგიასა და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგებში.

დელეგაციის წევრებს მიეცათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს, რომლებიც ხორციელდება სსრ კავშირის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და ხარკოვში, მათ შორის მოქმედ საცდელ ატომის ქვაბებსა და ელემენტარულ ნაწილაკთა აჩქარებლებს.

დელეგაციებმა აგრეთვე ნახეს ატომური ელექტროსადგური და გაეცნენ მის მუშაობას.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა საბჭოთა მეცნიერებმა — ფიზიკოსებმა და ინჟინრებმა.

მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილი იქნა შეთანხმებანი, რომლებითაც გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა კავშირი 1955-1956 წლების განმავლობაში შეასრულებს საპროექტო სამუშაოებს და მიაწვდის ზემოხსენებულ ქვეყნებს ექსპერიმენტულ ატომის ქვაბებსა და ელემენტარულ ნაწილაკთა აჩქარებლებს, რომლებსაც ამზადებს საბჭოთა კავშირის მრეწველობა, უსასყიდლოდ გადასცემს საჭირო სამეცნიერო-ტექნიკურ დოკუმენტაციას, რომელიც ამ ქვაბებსა და ნაწილაკთა აჩქარებლებს შეეხება, მეცნიერულ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს მათ მონტაჟსა და ამუშავებაში საბჭოთა სპეციალისტების მივლინებით, საჭირო რაოდენობით გადასცემს ატომის ქვაბებისა და კვლევითი სამუშაოებისათვის ხლეჩად და სხვა მასალებს, აღნიშნულ ქვეყნებს, სანამ ისინი ამუშავებდნენ სსრ კავშირისაგან მიღებულ საცდელ ატომის ქვაბებს, საჭირო რაოდენობით მიაწვდის რადიაქტიურ იზოტოპებს.

აღნიშნული ქვეყნებისათვის საბჭოთა კავშირში ამ ქვეყნების მოქალაქეთაგან მოამზადებენ მეცნიერ მუშაკებსა და ინჟინრებს ატომგულის ფიზიკის, რადიოქიმიის, მეცნიერებასა და ტექნიკაში იზოტოპების გამოყენების დარგში, აგრეთვე ატომის ქვაბების ტექნიკის დარგში. სპეციალისტების მომზადება იწარმოებს სპეციალურ დანადგარებზე, საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

შეთანხმებებით გათვალისწინებულ დახმარების ღონისძიებათა განხორციელება საშუალებას მისცემს თვითეულ ქვეყანას, რომელმაც შეთანხმება დადო, მოკლე ვადაში შექმნას თანამედროვე სამეცნიერო-ექსპერიმენტული ბაზები და გააჩაღოს კვლევა ატომგულის ფიზიკისა და მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში.

საბჭოთა მთავრობამ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება გაფართოოს იმ ქვეყნების წრე, რომლებსაც სსრ კავშირი ხელს შეუწყობს და დახმარებას გაუწევს იმაში, რომ განავითარონ სამეცნიერო-ექსპერიმენტული მუშაობა მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში, და ასეთი წინადადებით მიმართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელთა წარმომადგენლებთან უახლოეს დროში დაიწყება მოლაპარაკება შესაბამის შეთანხმებათა დადების შესახებ.

## პოტიომკინელები „ავრორაზე“

ლენინგრადში სტუმრად არის ოთხი პოტიომკინელი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1905 წელს ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ მომხდარ ისტორიულ აჯანყებაში. რევოლუციის ვეტერანი მეზღვაურები დაბინავდნენ კრეისერ „ავრორაზე“, რომელიც ნახიმოვლთა სასწავლო ბაზას წარმოადგენს.

ლენინგრადელები აღფრთოვანებით და გულითადად ხვდებიან ლენგენდარული ჯავშნოსნის გმირებს. პოტიომკინელები გამოდიან კულტურის სასახლეებსა და სახლებში, მუშათა კლუბებში, სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებსა და აკადემიებში მოგონებებით აჯანყების შესახებ, რომლის მოწმენი და მონაწილენი თვითონვე იყვნენ.

თვითეულ პოტიომკინელ გმირს დიდი და შინაარსიანი ცხოვრება გაუვლია. ივანე აკიმის-ძე ლიჩევი იყო ნაღმის მემანქანე ჯავშნოსანზე. 1904 წელს იგი შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, იყო თავისუფლებისათვის აქტიური მებრძოლი. ჯავშნოსნის ეკიპაჟმა იგი აირჩია აჯანყებული ხომალდის ხელმძღვანელი კომისიის შემადგენლობაში. ი. ა. ლიჩევს მეფის სასამართლომ დაუსწრებლად მოუსაჯა ჩამოხრჩობა. პარტიის გადაწყვეტილებით იგი საზღვარგარეთ წავიდა. 1917 წლის ბოლოს ლიჩევი დაბრუნდა რუსეთში და გაემგზავრა მშობლიურ მხარეში — ვოლგაზე. 1923 წელს არჩეულ იქნა პარტიის სამარის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად. 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სახელოვანი პოტიომკინელი პასუხსაგებ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე იმყოფებოდა. ახლა ლიჩევი პენსიონერია, ცხოვრობს მოსკოვის ოლქში.

მეფის თვითმპყრობელობამ სიკვდილი მიუსაჯა „პოტიომკინის“ მეორე ნაღმის მემანქანესაც — ილარიონ პავლეს-ძე შესტიდესიატის, რომელიც ასევე გემის კომისიის წევრი იყო ჯავშნოსანზე. აჯანყების ერთ-ერთ ხელმძღვანელთან ა. ნ. მატიუშენკოსთან ერთად მან დააპატიმრა ოფიცრები „გიორგი პობედონოსეცზე“. რევოლუციის შემდეგ შესტიდესიატი დიდხანს მუშაობდა მოსკოვში ი. ბ. სტალინის სახელობის ქარხანაში. ახლა ისიც პენსიონერია, ცხოვრობს ხმელნიცკის ოლქში.

ყოფილმა კომენდორმა ერემია გიორგის-ძე ლაკიმ სამშობლოში დაბრუნება მოახერხა 1906 წელს: იგი ფარულად გადმოვიდა საზღვარზე, ჩამოვიდა პეტერბურგში, მაგრამ იქ სამუშაოზე ვერ მიიყვანა. იძულებული გახდა წასულიყო სამშობლო სოფელში ბესარაბიაში. იქ იგი დააპატიმრეს, ხოლო შემდეგ 23 წლის განმავლობაში ცხოვრობდა რუმინელი ბოიარინების უფლქვეშ, მათ მიერ ოკუპირებულ ბესარაბიაში.

„პოტიომკინის“ ყოფილი მემანქანე ალექსი თევდორეს-ძე ცარევი ახლა ტირასპოლში ცხოვრობს. იგი მუშაობს საამქროს უფროსად ქვების მრეწველობის ერთ-ერთ ქარხანაში. 8 წლის განმავლობაში იგი ზედიზედ იქნა არჩეული საქარხნო პარტიული ორგანიზაციის მდივნად.

პოტიომკინელები ინტერესით ეცნობიან ლენინგრადის ისტორიულ-რევოლუციურ ძეგლებს. „ავრორას“ დათვალიერებისას ა. ი. ლიჩევმა თქვა:

— ნახევარი საუკუნის წინათ „პოტიომკინმა“ პირველი ყუმბარა ესროლა ცარიზმს, ხოლო 1917 წელს „ავრორამ“ აქ, ნევაზე, თავისი ზალბით უკანასკნელი შემბუსგრელი დარტყმა აგემა თვითმპყრობელობას“.

პოტიომკინელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ცენტრალური სამხედრო-საზღვაო მუზეუმის ექსპოზიციამ. აქ არის სპეციალური დიდი განყოფილება, რომელიც გვიჩვენებს მეზღვაურთა მონაწილეობას რუსეთის 1905-1907 წლების პირველ რევოლუციაში. თვალსაჩინო ადგილი დათმობილი აქვს „პოტიომკინის“ აჯანყებას. მუზეუმში ჯავშნოსნის დიდი მოდელია.

ამ დღეებში მუზეუმში გაიმართა სამეცნიერო საბჭოს სპეციალური სხდომა, რომელზეც თვიანთი მოგონებებით გამოვიდნენ გმირი პოტიომკინელები.

**ო. კარიშევი,**
**„კომუნისტის“ კორესპონდენტი.**
**ქ. ლენინგრადი.**




**სურათზე:** პოტიომკინელები „ავრორაზე“. მარცხნიდან მარჯვნივ: ე. გ. ლაკი, ი. ა. ლიჩევი, ი. პ. შესტიდესიატი, ა. ი. ცარევი. ფოტო გ. სინელნიკოვასი.

სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის

# ერედვეღების პასუხი ბოღნისეღებისაღმი

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ ერედველი კოლმეურნეები გულდასმით გავეცანით გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ თქვენს წერილს, რათა მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ვიღებთ თქვენს გამოწვევას და პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა სასახელოდ შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში ჩვენი წვლილის შესატანად ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

გადაჭარბებით შევასრულებთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მიმდინარე წლის გეგმებს. შარშანდელთან შედარებით თვითეულ ჰექტარ სახნავ-სათესზე მარცვლეულის წარმოებას გავადიდებთ 30 პროცენტით. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ სიმინდის ნათესების გაფართოებას და მისი მოსავლიანობის გადიდებას. 140 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 30 ცენტნერ სიმინდს. თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების შემდეგ 80 ჰექტარ ნაწვერალზე დავთესავთ სიმინდს და ცერცვილა — შვრიის ნარევს. სიმინდის, მეორე მოსავალს რძისებრ-ცვილისებრ პერიოდში თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 20 ცენტნერს, ხოლო სასილოსე მასას ჰექტარზე მივიღებთ 200 ცენტნერს.

წელს შარშანდელთან შედარებით ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე ზორცის და რძის წარმოებას გავადიდებთ 1,5-ჯერ, კვერცხისას ყოველ 100 ჰექტარი მარცვლეული კულტურების ნათესზე — ოთხჯერ.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმას შევასრულებთ 125 პროცენტით, ცხვრისას — 130 პროცენტით, ღორისას — 135 პროცენტით, ქათმისას — 125 პროცენტით; ძროხის წველადობის სახელმწიფო დავალებას გავანაღდებთ 140 პროცენტით და თვითეულ საფურაქე ძროხაზე მივიღებთ 1.400 ლიტრ რძეს. თვითეულ სულ ცხვარზე მატყლის გამოსავლიანობის დავალებას გავანაღდებთ 120 პროცენტით, მთლიანად შევინარჩუნებთ და გავზრდით მეძროხეობისა და მეცხვარეობის ფერმებში მიღებულ ნამატს, თვითეულ დედაღორზე გავზრდით 15 გოჭს და თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე მივიღებთ 90 კვერცხს.

მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით სიმინდს დავთესავთ 140 ჰექტარზე და სანაწვერალო კულტურებს — 80 ჰექტარზე, მრავალწლიან და ერთწლიან ბალახებს — 70 ჰექტარზე, საკვებ ძირხვენებს — 19 ჰექტარზე, ბალჩეულ და ბოსტნეულ კულტურებს — 17 ჰექტარზე და კარტოფილს — 20 ჰექტარზე. სასილოსედ გამოვიყენებთ გარეულ ბალახებს, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ნარჩენებს.

თვითეულ საფურაქე ძროხას უზრუნველვყოფთ 5,5 ტონა სილოსით, 22 ცენტნერი უხეში და 8 ცენტნერი კონცენტრირებული საკვებით. მეძროხეობის ფერმაში 240 სულ ძროხას გადავიყვანთ ბაგურ-ბანაკურ კვებაზე. შარშანდელთან შედარებით მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულებას შევამცირებთ 10 პროცენტით. მეძროხეობის ფერმაში მთლიანად დავამთავრებთ ყველა შრომატევადი სამუშაოს მექანიზაციას, 100 სული ძროხისათვის ავაგებთ მექანიზებულ ფერმას, ავაშენებთ საწოწილეს 3.000 ფრთისათვის, 500 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკს. კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში მყოფი ძროხების ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით წელს არტელის წევრებს მივყიდით 150 სულ გაუმჯობესებული ჯიშის მოზარდეულს.

მივაღწევთ იმას, რომ 1955 წლის 1 ოქტომბრისათვის სახელმწიფოსათვის ზორცის ჩაბარების გეგმა შევასრულოთ 140 პროცენტით, რძისა 1 ივნისისათვის — 100 პროცენტით, კვერცხისა 1 დეკემბრისათვის — 105 პროცენტით. მთლიანად შევასრულებთ აგრეთვე როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა რქიანი პირუტყვის ტყავის დამზადების სახელმწიფო გეგმებს.

გთხოვთ გვეწვიოთ სოფელ ერედვში, რათა უფრო ახლოს გაიცნოთ ჩვენი კოლმეურნეობის საქმიანობა.

**ი. ძრისტესიაშვილი** — სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ტ. ცაგარეიშვილი**—პარტბიუროს მდივნის მოადგილე; **ო. ქელესხაშვილი** — ფერმის გამგე; **ვ. ბეკოევი** — ზოოტექნიკოსი; **თ. ბერუაშვილი** — ალკა ორგანიზაციის მდივანი; **დ. ბერუაშვილი, ო. კაგულოვა** — მწველავები; **ნ. ბერუაშვილი, ი. ჟუჟნიაშვილი** — საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელები; **ნ. ვახტანგაშვილი** რგოლის ხელმძღვანელი.

## სამი მილიონერი ბრიგადა ერთ კოლმეურნეობაში

**მახარაძე. (საკ. კორ.).** შესანიშნავი წარმატებებით დაამთავრა 1954 წლის სამეურნეო წელი ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ გადაჭარბებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დაწესებული გეგმები და სახელმწიფო ვალდებულებები, ფულადი შემოსავალი 1 მილიონი მანეთით გაიზარდა 1953 წელთან შედარებით, თვითეულ შრომადღეზე 33 მანეთზე მეტი გასცეს.

კოლმეურნე ერმილე მექვაბიშვილის ოჯახმა შრომადღეზე ფულად 50.000 მანეთი და რამდენიმე ტონა მარცვალი მიიღო, მიხეილ გუნთაიშვილის ოჯახმა კი — 47.000 მანეთი. ასეთი ოჯახები აქ ბევრია.

მოწინავე ბრიგადის (ხელმძღვანელი შ. ჩხარტიშვილი) ფულადმა შემოსავალმა 1.400.000 მანეთს გადააჭარბა. ბრიგადამ სახელმწიფოს 130 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ჩააბარა. მილიონერები გახდნენ აგრეთვე კოლმეურნეობის მეორე და მეექვსე ბრიგადები (ხელმძღვანელები ს. მექვაბიშვილი და ი. ჩხარტიშვილი).

ახლა კოლმეურნეობაში 9 საწარმოო ბრიგადაა, მათ შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება 1955 წლის უხვი მოსავლისათვის.

## მხატვრული ჭურჭელი

თარიზე აწყვია ნაირნაირი ჭურჭელი. ხაშუალო ზომის მუცელგანიერ დოქებს გვერდს უმშვენებს ტანწერწეტა ვიწროყელიანი სურები. მხატვრებს მრავალფერად მოუხატავთ ისინი. გემოვნებით შერჩეული ფერადი სახეები ჭურჭელს არშიებად შემოვლებია და ზედ ლამაზ სურათებად გამოსახულა.

ამ ლამაზი ნახევრადფაიფურის მხატვრული ჭურჭლის გამოშვება წელს დაიწყო თბილისის მშრალი წნეხის ავურის ქარხანამ. ხაამისოდ აქ ააგეს სპეციალური ხაამქრო, რომელსაც აქვს საყალიბო, ხაღუმელე და სამხატვრო განყოფილებები. ნედლეულად გამოყენებულია თბილისის კერამიკული კომბინატის ნარჩენები.

ხაამქროს ხელმძღვანელობენ მხატვრული ჭურჭლის წარმოების ოსტატები ინჟინერი ვ. ჩარგეიშვილი და მხატვარი-კერამიკოსი გ. ლომიძე, მხატვრებად მუშაობენ თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულები დ. კობიაშვილი და მ. ჩიხლაძე.

უკვე გამოშვებულია პირველი პროდუქცია: ღვინის, წყლის, არყის, ლიქიორის ჭურჭელი— სხვადასხვა ზომისა და ფორმის მხატვრული სურები და დოქები, აგრეთვე სათამაშოები — მელიები, მტრედები და სხვ., რომლებმაც მომხმარებელთა მოწონება დაიმსახურეს.

მომავალში ხაამქრო გაადიდებს პროდუქციის წარმოებას და გააფართოებს ასორტიმენტს.

**სურათზე:** (მარჯვნიდან) ინჟინერ-სილიკატი ვ. ჩარგეიშვილი, მხატვარი დ. კობიაშვილი და მოწინავე მუშა ე. რუდენკო ამოწმებენ ნახევრადფაიფურის ჭურჭლის ხარისხს.

ფოტო შ. გოჭაძისა.

## ახალგაზრდა შემოქმედთა დათვალიერება

დამთავრდა თბილისის თეატრალური ახალგაზრდობის საქალაქო დათვალიერება, რომელიც მოაწყეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და ხელოვნების მუშაკთა სახლის ახალგაზრდა თეატრთმცოდნეთა სექციამ.

თეატრალური ახალგაზრდობის დათვალიერება მიზნად ისახავდა ახალგაზრდა შემოქმედთა იდეური დონისა და მხატვრული ოსტატობის შემდგომ ამაღლებას, საუკეთესო ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების გამოვლინებასა და დაწინაურებას, აგრეთვე იმ მიზეზებისა და პირობების გამორკვევას, რაც ხელს უშლის ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების პროფესიულ და იდეურ ზრდას.

დათვალიერებამ, რომელიც თბილისში პირველად მოეწყო, დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენს თეატრალურ საზოგადოებრიობაში. მასში მონაწილეობდა 150-ზე მეტი კაცი, რომელთა შორის გამოვლინებულ იქნა ბევრი ნიჭიერი და მზარდი ახალგაზრდა შემოქმედი.

ამ დღეებში საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა თბილისის თეატრალური ახალგაზრდობის დათვალიერების შედეგებისადმი მიძღვნილი საერთო შემაჯამებელი სხდომა, სადაც მოხსენებით გამოვიდა დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ე. გუგუშვილი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი თეატრალური ახალგაზრდობა, რომელიც მხარში ამოუდგა სცენის გამოჩენილ ოსტატებს.

მოხსენებაში აღინიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებებიც. არასაკმაო ყურადღება ექცევა თეატრისა და ესტრადის რეპერტუარის საკითხს; თეატრებში ხდება შემოქმედებითი დავალებების არათანაბარი განაწილება, ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი მხრივ ახალგაზრდა მსახიობს მისი შესაძლებლობისათვის შეუფერებელი როლები სამუშაო ეძლევა, ხოლო მეორე მხრივ ახალგაზრდებს სრულიად არ ტვირთავენ; მართალია, უკანასკნელ ხანებში ცალკეულ თეატრებში მოწესრიგდა დუბლიორობის სისტემა, მაგრამ ჯერის შემთხვევები, როცა დუბლიორებს საკმაო რაოდენობით არ ეძლევათ რეპეტიციები, ახალგაზრდა მსახიობები შეჰყავთ სპექტაკლში ერთი რეპეტიციით ან სრულიად ურეპეტიციოდ, რაც მეტად საზიანოა სპექტაკლის მხატვრული მთლიანობისათვის, ასევე თვით მსახიობისთვისაც.

დათვალიერებამ ცხადყო, რომ ჩვენი თეატრალური ახალგაზრდობა ჯერ კიდევ არასერიოზულად ეპყრობა თავისი პროფესიული ოსტატობის ამაღლების საქმეს. ხშირად მსახიობი, რომელმაც წარმატებით შეასრულა ესა თუ ის როლი, ეძლევა თვითკმაყოფილებას და შემდგომ როლებში ერთხელ ნაპოვნ ხერხებს იყენებს, რითაც ზღუდავს შემოქმედებითი ზრდის შესაძლებლობას.

მოხსენების შემდეგ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ბადურაშვილმა გამოაქვეყნა საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილება დათვალიერების მთელ რიგ მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ.

შემოქმედებითი საღამოების მოწყობის უფლება მიეცათ მსახიობებს: თ. მუშკუდიანს, თ. თაქთაქიშვილს, რ. მაღალაშვილს, ე. გელოვანს (ოპერისა და ბალეტის თეატრი), ე. ყიფშიძეს, ტ. საყვარელიძეს, მ. მახვილაძეს, ე. მაღალაშვილს (მარჯანიშვილის სახელობის თეატრი), ი. კირილოვას, პ. ლუსპეკოვს, ე. პოგოდინას (გრიბოედოვის სახელობის თეატრი), ს. შეკოიანს, ა. კარაჯიანს (სომხური დრამის თეატრი), ე. აგალაროვას, ი. სუხანოვს (მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი), გ. სიხარულიძეს, ე. გაგლოშვილს, მ. ყიფერტს (მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი), შ. ნოცვლიშვილს, თ. კოდანიშვილს (მუსიკალური კომედიის თეატრი), ნ. ციცქიშვილს, ე. გვაზავას, ე. აფხაზავას, ი. ცხომელიძეს, მ. გოძიაშვილს, ნ. ცინცაძეს, ლ. ლუაშვილს (საქართველოს ფილარმონია).

მოსკოვში ერთი თვის შემოქმედებითი მივლინებით დაჯილდოებულია 8 მსახიობი.

17 მსახიობი და რეჟისორი დაჯილდოებულია საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის სპეციალური სიგელით.

**გ. ძნელაძე.**

## საბჭოთა წითელი ჯვრის დახმარება საბერძნეთის მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისადმი

უკანასკნელ დღეებში ქალაქ ვოლოსის რაიონში მიწისძვრის შედეგად დაზარალდა ამ ქალაქის მოსახლეობა. ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, არის ადამიანთა მსხვერპლი.

საბჭოთა წითელმა ჯვარმა მიიღო გადაწყვეტილება დახმარება გაუწიოს საბერძნეთის მიწისძვრით დაზარალებულ მოსახლეობას და შემდეგი დეპეშა გაუგზავნა საბერძნეთის წითელი ჯვრის აღმასრულებელ კომიტეტს:

„სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი საბჭოთა საზოგადოებრიობის სახელით დიდ თანაგრძნობას უცხადებს ბერძენ ხალხს იმ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით, რომელიც ქალაქ ვოლოსის მოსახლეობას ეწია.

იმ მიზნით, რომ შეამსუბუქოს მიწისძვრით დაზარალებული ქალაქის მოსახლეობის ხვედრი და, იღებს რა მხედველობაში ქალაქ ვოლოსის საზოგადოებრივი ორგანიზაციების თხოვნას, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირი საბერძნეთის წითელი ჯვრის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში გზავნის ასიათას მანეთს.

**სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარე**

**მიტერევი“.**

## ჯოუ ენ-ლაის პასუხი ამერიკული ჟურნალის „ნეიშნის“ კორესპონდენტის კითხვებზე

**პეკინი, 28 აპრილი. (საკდესი).** როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან იუწყება, 24 აპრილს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ უპასუხა ამერიკული ჟურნალის „ნეიშნის“ კორესპონდენტის კითხვებზე.

**კითხვა:** რატომ შეიტანა პრემიერ-მინისტრმა თავის საბოლოო სიტყვაში აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე განცხადება იმის შესახებ, რომ მის თავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გაათავისუფლოს ტაივანი?

**პასუხი:** ტაივანის განთავისუფლება ჩინეთის საშინაო საქმეა. ჩინელ ხალხს უფლება აქვს წამოაყენოს და განახორციელოს ეს მოთხოვნა. რაც შეეხება დაძაბულობას ტაივანის რაიონში, იგი გამოწვეულია შეერთებული შტატების ჩარევით. ეს საერთაშორისო საკითხია. ტაივანის რაიონში დაძაბულობის შესანელებლად ჩინეთი აყენებს წინადადებას, რომ ჩინეთი და შეერთებული შტატები შეხვდნენ ერთმანეთს და დაიწყონ მოლაპარაკება ამ საკითხის გადასაწყვეტად.

**კითხვა:** მზად იქნება თუ არა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შეხვდეს შეერთებული შტატების მთავრობას, აგრეთვე ნაციონალისტებს ტაივანის საკითხის განსახილველად?

**პასუხი:** ეს ორი სულ სხვადასხვა საქმეა. ჩინეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთობა საერთაშორისო საკითხია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩან კაი-შის ხროვის ურთიერთობა საშინაო საკითხია. ეს ორი საკითხი არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში.

**კითხვა:** მიაჩნია თუ არა პრემიერ-მინისტრს ტაივანის რაიონის ახლანდელი მდგომარეობა იმდენად საშიშად, რომ ამას შეუძლია გამოიწვიოს მესამე მსოფლიო ომი?

**პასუხი:** ტაივანის რაიონის ახლანდელ მდგომარეობაში ნამდვილად არსებობს კრიზისი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ახალი მსოფლიო ომი. მაგრამ გამოიწვევს თუ არა ახლანდელი მდგომარეობა მსოფლიო ომს, ეს დამოკიდებულია შეერთებულ შტატებზე, რადგან ახლა ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის არავითარი ომი არ არის. რაც შეეხება ჩინელი ხალხის სურვილს, იგი გამოთქმულია 23 აპრილს გამოქვეყნებულ განცხადებაში.

## ჯოუ ენ-ლაი გირმაში ჩავიდა

**რანგუნი, 28 აპრილი. (საკდესი).** დღეს ჯაკარტიდან აქ ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, რომელიც სამშობლოში ბრუნდება აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციიდან.

## ხელი მოაწერეს შეთანხმებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის მიერ შენეფელდის აეროდრომის გამოყენების შესახებ

**ბერლინი, 28 აპრილი. (საკდესი).** იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მოისურვა შექმნას სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავთა მიღებისა და მომსახურების თავისი სამსახური, უკანასკნელ დროს გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობათა მოლაპარაკება და 27 აპრილს ბერლინში ხელი მოაწერეს შეთანხმებას შენეფელდის აეროდრომის გამოყენების შესახებ. შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. შტოფმა.

ამ შეთანხმებით შენეფელდის აეროდრომს გამოიყენებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის ორგანონები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოების განკარგულებაში შენეფელდის აეროდრომზე აეროპორტის მოსაწყობად გადაეცემა საჭირო შენობები, ნაგებობანი და ტექნიკური საშუალებანი.

გ ი გ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

# დიადი თარიღის აღსანიშნავად

### 1. რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია

მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნება რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის 50 წლისთავი. რუსეთის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის გმირული რევოლუციური ბრძოლების მთავარ მომენტებზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ გ. ხაჭაპურიძის საჯარო ლექციის სტენოგრამა, რომელიც საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომებზე დაყრდნობით ლექციის ავტორი გვისურათებს, რომ XX საუკუნის დამდეგს რუსეთში კაპიტალიზმი თავისი განვითარების იმპერიალისტურ სტადიაში შევიდა.

მაშინდელი მეფის რუსეთი ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების თავისებურებათა გამო იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტს, მსოფლიო იმპერიალიზმის სისტემის ყველაზე სუსტ რგოლს წარმოადგენდა. იგი სამხედრო-ფეოდალური, კოლონიური და კაპიტალისტური ჩაგვრის კერა იყო. იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა რევოლუციური გზით გადაჭრა მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატს შეეძლო, რადგან იგი უკვე მსოფლიოში ყველაზე რევოლუციურ ძალას წარმოადგენდა.

XX საუკუნეში რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა. ჩვენი ქვეყანა ლენინიზმის სამშობლო გახდა. ბროშურაში ლაპარაკია მუშათა და გლეხთა მოძრაობის განვითარებაზე, რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თავისებურებებსა და ამ რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის გარდუვალობაზე. ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი ახალი ტიპის პარტიის — კომუნისტური პარტიის შექმნისათვის გენიალური ვ. ი. ლენინისა და მისი საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის მოღვაწეობას, პარტიის როლსა და მნიშვნელობას ექსპლოატირებული მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის მსვლელობაში. ფაქტიური მასალები მოგვითხრობენ მუშათა მოძრაობის განვითარებაზე, რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადების პერიოდში მშრომელთა ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლების ძირითად მომენტებსა და ფორმებზე.

რევოლუციის დასაწყისს 1905 წლის 9 იანვრის ამბები წარმოადგენდა. პოლიტიკური გაფიცვების ტალღა, რომელიც მთელ რუსეთში გავრცელდა, კავკასიასაც მოედო. პროფესორი გ. ხაჭაპურიძე აღწერს მუშათა მოძრაობის აღმავლობის კონკრეტულ ფაქტებს, განიხილავს ბოლშევიკების ბრძოლას პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის, ყრილობის მიერ შემუშავებულ პარტიის ტაქტიკურ ხაზს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, ბოლშევიკებისა და მენშევიკების ბრძოლას რევოლუციის ძირითად საკითხებში და მესამე ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობას.

ვ. ი. ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველად დაამუშავა საკითხი იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თავისებურების, რევოლუციის მამოძრავებელი ძალებისა და პერსპექტივების შესახებ. ლენინმა რუსეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის გამოცდილების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე დაასაბუთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა, დაამუშავა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეა და ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის საკითხი. ბროშურაში პროფ. გ. ხაჭაპურიძე სათანადოდ განიხილავს აღნიშნულ საკითხებს, მოკლედ აღწერს რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას 1905 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში, რევოლუციურ გამოხვლებს მეფის არმიასა და ფლოტში, ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვასა და მეფის მთავრობის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემით გამოწვეულ მღელვარებას ოქტომბერ-ნოემბერში. სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების, მუშათა და გლეხთა შეიარაღებული გამოსვლებისადმი ბოლშევიკებისა და მენშევიკების დამოკიდებულების, მუშათა დეპუტატების საბჭოების წარმოშობის ამბებს.

პირველი რევოლუციის პერიოდში რუსეთის მუშათა და გლეხთა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს მომენტებთან დაკავშირებით გზადაგზა ქრონოლოგიურად გადმოცემულია რევოლუციური ბრძოლების მასალები საქართველოსა და კავკასიაში. დასასრულ განმარტებულია რევოლუციის დამარცხების მიზეზები და რუსეთის პირველი რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. აღშენა რა სოციალიზმი, ჩვენი სამშობლო ვითარდება კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, გამოდის როგორც მსოფლიოში პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯი.

### 2. 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში

რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის გავლენით დაიწყო და გაჩაღდა რევოლუციური მოძრაობა მთელ რუსეთის იმპერიაში, განპირა ერთეულ რაიონებში. რევოლუციური მოძრაობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ამ საკითხზე მოგვითხრობს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ხუციშვილის საჯარო ლექციის სტენოგრამა, რომელიც საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა. მასში წარმოდგენილი მდიდარი ფაქტიური მასალები ნათელყოფენ ამიერკავკასიასა და საქართველოში რევოლუციური მოძრაობის განსაკუთრებით მაღალ დონესა და ორგანიზებულობას.

„რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, — ვკითხულობთ აღნიშნულ ბროშურაში, — საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ფართოდ გაშლა იმით აიხსნება, რომ საქართველოს მუშებისა და გლეხების ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებსაც მეთაურობდა დიდი ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ი. ბ. სტალინი მ. ცხაკაიასთან, ა. წულუკიძესთან, ს. შაუმიანთან, ა. ჯაფარიძესთან, ს. სპანდარიანთან და ჩვენი პარტიის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად“ (გვ. 6).

გენიალური ვ. ი. ლენინი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის განვითარებას და მაღალ შეფასებას აძლევდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობას, მუშებისა და გლეხების აქტიურ, თავგანწირულ ბრძოლას.

ლექციის სტენოგრამაში შეტანილია მრავალი ფაქტიური მასალა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში საქართველოს მუშებისა და გლეხების რევოლუციური მოძრაობის განვითარების შესახებ. გაფიცული მუშები მტკიცე ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებდნენ. იმართებოდა მიტინგები და დემონსტრაციები, ხდებოდა შეტაკებები პოლიციელებთან.

ბოლშევიკები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სოფლის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ფენების დარაზმვას. გლეხთა მოძრაობამ საქართველოში უმაგალითო გაქანება მიიღო. გლეხთა მოთხოვნები შეესაბამებოდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამა-მინიმუმის მოთხოვნებს. სტენოგრამაში აღნიშნულია საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის, ყრილობის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციისა და განხორციელებისათვის, მოთხრობილია ყრილობის მიერ საქართველოში გლეხთა მოძრაობის საკითხის განხილვისა და „კავკასიის ამბების გამო“ სპეციალური რეზოლუციის მიღების შესახებ.

1905 წლის ივნისში მოეწყო საქართველოს მუშათა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელსაც ახასიათებდა განსაკუთრებული ორგანიზებულობა, სხვადასხვა ერეკნების მუშათა ინტერნაციონალური სოლიდარობა.

რუსეთში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის კვალდაკვალ ვითარდებოდა მოვლენები განაპირა მხარეებში. საქართველოს ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის მუშებისა და გლეხების მოსამზადებლად. ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ და დეკემბრის შეიარაღებულმა აჯანყებამ აქ ფართო გამოხმაურება ჰპოვა. აჯანყებულმა მუშებმა ხელთ იგდეს ნაძალადევი, დიდუბე, რკინიგზის სამმართველო და ტელეგრაფი, რკინიგზის მთელი ხაზი საქართველოში. ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებას თბილისში მუშათა საგაფიცვო კომიტეტი აწესრიგებდა. აჯანყება მოედო მთელი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს.

მეფის ხელისუფლების, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლები წარმოებდა ბათუმში, ქუთაისში, გორში, ჭიათურაში, ტყიბულში, ზორჯომში, შორაპანში, სოხუმში, ბაშურში და სხვა სამრეწველო ადგილებში, გორის, ოზურგეთის, ზუგდიდის, შორაპნის, ლეჩხუმისა და სხვა მაზრებში. სხვადასხვა მაზრებში მოქმედი წითელრაზმელები შეიარაღებულ ბრძოლებში ძმური დახმარების ხელს უწვდიდნენ ერთმანეთს. ამის შესახებ ბევრი საინტერესო ცნობა მოიპოვება ი. ხუციშვილის ბროშურაში.

მეფის ხელისუფლებამ რევოლუციას შეუტია. მთელ საქართველოში სამხედრო წესები გამოცხადდა. ამოქმედდნენ დამსჯელი ექსპედიციები და შავრაზმელები. აგიწერს რა ამის კონკრეტულ ფაქტებს, ლექციის ავტორი განმარტავს შეიარაღებული აჯანყების დამარცხების მიზეზებს და ამასთან ააშკარავებს ქართველი მენშევიკების, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მოღალატურ მოქმედებას.

საქართველოს ბოლშევიკების, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და რუსი ხალხის ძმური დახმარებით საქართველოს მშრომელებმა რევოლუციური ბრძოლების სახელოვანი გზა განვლეს და სასურველი გამარჯვება მოიპოვეს. ქართველი ხალხი, რომელიც სსრ კავშირის ერთიან ძმურ ოჯახში მტკიცედ მიდის კომუნიზმის გზით, მომძმე ხალხებთან ერთად აღნიშნავს რუსეთის პირველი რევოლუციის 50-ე წლისთავს.

ლექციების ეს სტენოგრამები დახმარებას გაუწევს ჩვენს პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს, რუსეთის პირველი რევოლუციის შესახებ მრავალ საინტერესო მასალას გააცნობს ქართველ მკითხველს.

**ე. ხუნდაძე.**

## მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს კომუნიკე

ვენა, 29 აპრილი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე:

ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების მალე დადება მოლაპარაკების პრინციპის სისწორის ახალი დადასტურება იქნება.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მუდამ იცავდა ამ პრინციპს როგორც დიდი საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების ყველაზე ქმედითს მეთოდს. უკვე 1952 წელს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესმა, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ვენაში მოიწვია, მოითხოვა ოთხი დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკების განახლება ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების საკითხზე.

კონგრესმა მხარი დაუჭირა „ყველა ღონისძიებას, როგორიც უნდა იყოს ისინი, რომელთა მიზანია მალე განხორციელდეს ეს მოლაპარაკება და ავსტრიელ ხალხისათვის უზრუნველყოფილ იქნას ოკუპაციის დამთავრებასთან ერთად ავსტრიის დემოკრატიული უფლებანი და დამოუკიდებლობა".

დღეს ჩვენ მივესალმებით ავსტრიის რესპუბლიკის გადაწყვეტილებას არ შევიდეს რაიმე სამხედრო კავშირში და თავის ტერიტორიაზე არ დაუშვას სამხედრო ბაზები. ეს გადაწყვეტილება დიდი წვლილია ევროპის მშვიდობის საქმეში.

ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადება ხალხთა ახალი გამარჯვება იქნება მშვიდობისათვის ბრძოლაში. საზოგადოებრიობისა და თვით ავსტრიელი ხალხის სურვილის შესაბამისად მოლაპარაკება, რომელიც უახლოეს ხანში განახლდება ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგად, რაც შეიძლება მალე უნდა დაგვირგვინდეს წარმატებით.

**მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნო, ვენა, 1955 წლის 28 აპრილი.**

## პორტ-არტურში გაიხსნა საბჭოთა მეომრების ძეგლი

პეკინი, 28 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს ცნობით, პორტ-არტურში ზეიმით გაიხსნა ძეგლი საბჭოთა მეომრებისა, რომლებიც დაეცნენ ამ რაიონის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ცერემონიის დამთავრების შემდეგ, რომელსაც 3 ათასი კაცი დაესწრო, 12-მეტრიანი ძეგლი გვირგვინებით შეამკეს. ძეგლზეა წარწერა: „სამარადისო დიდება საბჭოთა გმირებს, რომლებიც დაეცნენ იაპონიის იმპერიალიზმის განადგურებისათვის ბრძოლებში!".

## ხატოიამას განცხადება

შანხაი, 28 აპრილი. (საკდესი). როგორც იაპონიიდან იუწყებიან, პრემიერ-მინისტრმა ხატოიამამ დღეს განაცხადა, რომ მისი მთავრობა ემხრობა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას. ხატოიამამ თქვა: „ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს რეზოლუციას, რომელიც ამ საკითხზე განიხილა კონფერენციამ მიღებული". ხატოიამამ შემდეგ თქვა, რომ იგი ემხრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობის თანდათან გაფართოებას, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობა „მოლაპარაკების აქტიური მონაწილე ვერ იქნება, რამდენადაც ორ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა".

## პრეზიდენტის არჩევნები იტალიაში

რომი, 28 აპრილი. (საკდესი). დღეს გაიმართება იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები, რამდენადაც ახლანდელ პრეზიდენტ ლუიჯი ეინაუდის რწმუნებათა ვადა წლის ვადა მაისში უთავდება.

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის არჩევა წარმოებს პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე, იტალიის ოლქებისაგან სპეციალური დელეგატების მონაწილეობით.

იტალიური პრესის ცნობებით, სოციალისტური პარტია პრეზიდენტის პოსტზე ისახელებს წინაალმდეგობის მოძრაობის თვალსაჩინო ხელმძღვანელსა და იტალიის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ფერუჩო პარის კანდიდატურას. კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის სამდივნო აცხადებს, რომ ჯგუფის წევრები მხარს დაუჭერენ ამ კანდიდატურას.

მეორე მხრივ, ქრისტიან-დემოკრატთა პარტიის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება დაასახელოს სენატის ახლანდელი თავმჯდომარის ჩეზარე მერძაგორას კანდიდატურა. რომის ეკონალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ ქრისტიან დემოკრატთა პარტია, რომელმაც წინასწარ იცის, რომ მისი პარტიის კანდიდატს არჩევის შანსი არა აქვს, ახლა მიმართავს მანევრს და ასახელებს „დამოუკიდებელ" მერძაგორას (რომელიც, როგორც ცნობილია, 1953 წელს სენატის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ქრისტიან დემოკრატთა პარტიისა და მონარქისტების შეთანხმების შედეგად).

რომი, 28 აპრილი. (საკდესი). იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში კენჭისყრის პირველი ტურის დროს ხმები ასე განაწილდა: პარი — 308 ხმა; მერძაგორა — 228; ეინაუდი (ლიბერალი) — 120; გრონკი (ქრისტიანი დემოკრატი) — 30; სენი (ქრისტიანი დემოკრატი) — 12. რადგან ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების ორი მესამედი, რაც საჭიროა არჩევისათვის, დაინიშნა მეორე ტური.

კენჭისყრის მეორე ტურის დაწყების წინ პარიმ მოახსნა თავისი კანდიდატურა რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.

მეორე ტურში ხმები ასე განაწილდა: მერძაგორა — 225 ხმა; გრონკი — 127; ეინაუდი — 80; სენი — 18; სხვები — 24. გარდა ამისა, აღმოჩნდა 332 თეთრი ბიულეტენი. რადგან მეორე ტურშიც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, დაინიშნა მესამე ტური.

## ავსტრიაში ინფორმაციის საბჭოთა სამსახურის ცნობა

ვენა, 28 აპრილი. (საკდესი). როგორც ინფორმაციის საბჭოთა სამსახური იუწყება, სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვმა 28 აპრილს ავსტრიის ფედერალურ კანცლერს ბ-ნ იულიუს რააბს აცნობა შემდეგი:

1. საბჭოთა საკონტროლო ხელისუფალნი, 28 აპრილიდან დაწყებული, ავსტრიის ხელისუფალთ გადასცემენ უფლებას ნაოსნობის ნება დართონ საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის გემებს დუნაის ავსტრიის ნაწილში.

2. საბჭოთა საკონტროლო ხელისუფალნი ხელს არ შეუშლიან აღმოსავლეთ ავსტრიაში იმ ქვეყნების მოქალაქეთა უვიზოდ ჩამოსვლას, რომლებთანაც ავსტრიას აქვს შეთანხმებანი გასასვლელი და შემოსასვლელი ვიზების გაუქმების შესახებ.

3. საბჭოთა საკონტროლო ხელისუფალნი აღარ შეამოწმებენ ტვირთებს სადემარკაციო ხაზზე, რომელიც საბჭოთა ზონას ჰყოფს დასავლეთ ავსტრიისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა ი. ი. ილიჩოვმა ამასთან რწმენა გამოთქვა, რომ ავსტრიაში საბჭოთა საკონტროლო ხელისუფალთა ეს ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ ორივე ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

## ავსტრიის პარლამენტის სხდომა

ვენა, 28 აპრილი. (საკდესი). დღეს გაიმართა ავსტრიის პარლამენტის სხდომა. პარლამენტის სხდომის დღის წესრიგშია მთავარი კომიტეტის მოხსენება და წინადადებანი:

1) დამოკიდებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაციისადმი;

2) მოლაპარაკება, რომელსაც ავსტრიის მთავრობის დელეგაცია აწარმოებდა მოსკოვში;

3) ავსტრიის თხოვნა, რომ მიიღონ იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მოხსენება გააკეთა დეპუტატმა ტონჩიჩმა. თავის მოხსენებაში მან მოიყვანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციის შინაარსი.

ტონჩიჩმა მოაგონა დამსწრეთ, რომ პარლამენტის მთავარმა კომიტეტმა 25 აპრილის სხდომაზე დეპუტატების მალერტის, პიტერმანისა და სხვების წინადადებათ ერთხმად გადაწყვიტა პარლამენტის დასამტკიცებლად წარადგინოს შემდეგი რეზოლუცია:

„პარლამენტი კმაყოფილებით იღებს ცნობად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაციას, რომელიც რეკომენდაციას იძლევა კონტაქტი დამყარდეს პარლამენტებს შორის.

პარლამენტი განსაკუთრებით მიესალმება დეკლარაციაში გამოთქმულ სურვილს — პატივი სცენ ხალხთა თანასწორობას, სუვერენიტეტსა და ეროვნულ დამოუკიდებლობას, აგრეთვე არ დაუშვან რაიმე ჩარევა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში.

პარლამენტი უერთდება დეკლარაციაში გამოთქმულ სურვილს — განამტკიცონ მშვიდობა და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას ყოველთვის მიაჩნდა თავის ამოცანად ამ იდეის სამსახური".

25 აპრილს, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, პარლამენტის მთავარმა კომიტეტმა მოიწონა შემდეგი რეზოლუცია:

„პარლამენტი მადლობას უძღვნის ფედერალურ მთავრობას მთავრობის დელეგაციის ღონისძიებებისათვის მოსკოვის მოლაპარაკების დროს, რომლის მიზანია მნიშვნელოვნად დაჩქარდეს სახელმწიფო ხელშეკრულების დადება. ამავე დროს იგი წინადადებას აძლევს ფედერალურ მთავრობას დაიწყოს საჭირო მზადება მალე მოსალოდნელი მოლაპარაკებისათვის ოთხ დიდ სახელმწიფოსთან იმის შესახებ, რომ დაიდოს სახელმწიფო ხელშეკრულება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ავსტრიის რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა".

როგორც შემდეგ ტონჩიჩმა განაცხადა, მთავარი კომიტეტის სხდომის დროს გამოირკვა, რომ ძალაში რჩება ავსტრიის წინანდელი განცხადება, რომ იგი მზად არის ითანამშრომლოს გაერთიანებულ ერებთან. მთავარმა კომიტეტმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუციის პროექტი, რომელშიც ფედერალურ მთავრობას წინადადება ეძლევა დროზე გადადგას საჭირო ნაბიჯები, რათა განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ავსტრიის რესპუბლიკის მიღების შესახებ განსახილველად წარედგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის შემდეგ სესიას.

ტონჩიჩმა სთხოვა პარლამენტს მოიწონოს მთავარი კომიტეტის ხსენებული გადაწყვეტილებანი.

ტონჩიჩის სიტყვის შემდეგ დაიწყო კამათი. კამათის შემდეგ მოხდა კენჭისყრა. პარლამენტმა ერთხმად მიიღო მთავარი კომიტეტის სამივე რეზოლუცია.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის და ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის სასტროამიჯოიოს ერთობლივი განცხადება

პეკინი, 28 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ და ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ალი სასტროამიჯოიომ ჯაკარტაში გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება. განცხადებაში ნათქვამია:

„1955 წლის 28 აპრილი. ჯაკარტა.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის დამთავრების შემდეგ მისი აღმატებულება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერი ჯოუ ენ-ლაი ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა ჯაკარტაში — ინდონეზიის რესპუბლიკის დედაქალაქში. იგი აქ დარჩა ორი დღის ვიზიტით როგორც მისი აღმატებულების ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტ სუკარნოს ოფიციალური სტუმარი. ამ ხნის განმავლობაში პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ მეგობრულად და გულწრფელად გაუზიარა აზრები პრეზიდენტ სუკარნოს, ვიცე-პრეზიდენტ მოჰამედ ჰატას, პრემიერ-მინისტრ ალი სასტროამიჯოიოს, სგარეო საქმეთა მინისტრ სუნარიოს და ინდონეზიის რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს საკითხებზე, რომლებიც ორივე ქვეყნის საერთო ინტერესებს შეეხება. ამ აზრთა გაზიარების შედეგად პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ და პრემიერ-მინისტრმა ალი სასტროამიჯოიომ შემდეგი ერთობლივი განცხადება გააკეთეს:

„1. ორი პრემიერ-მინისტრი ადასტურებს, რომ ისინი იხმარენ ერთობლივ ღონისძიებებს იმ საერთო სურვილის განხორციელებისათვის, რომელიც გამოთქვა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციამ და რომელიც ჩამოყალიბებულია აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში საყოველთაო მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ხელშეწყობის შესახებ.

2. ორივე პრემიერ-მინისტრი კმაყოფილებას გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ ჩინეთი და ინდონეზია ერთმანეთს შორის ცხოვრობენ მშვიდობიანად, როგორც კეთილი მეზობლები, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთპატივისცემის, თავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპების საფუძველზე. ისინი მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ამ პრინციპების საფუძველზე.

3. პრემიერ-მინისტრები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ დაიდო „ხელშეკრულება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის ორმაგი მოქალაქეობის საკითხზე". მათ მიაჩნიათ, რომ ეს არის რთული და ძნელი საერთაშორისო პრობლემების მეგობრული მოლაპარაკების გზით გადაჭრის კარგი მაგალითი. ისინი აცხადებენ, რომ ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ ზუსტად დაიცავენ ხელშეკრულების ფორმასა და შინაარსს და ხელს შეუწყობენ ხელშეკრულების პირობების განხორციელებას.

4. ორივე პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ ყოველი ქვეყნის ხალხის ხელშეუვალი უფლებაა თავისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. ისინი აცხადებენ, რომ დიდი სიმპათიით ეპყრობიან და მხარს უჭერენ თვითეული ამ ორი ქვეყნის ღონისძიებებს მათი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებაში.

5. ორივე პრემიერ-მინისტრს იმედი აქვს აქტიურად განვითარონ ორივე ქვეყნის ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა ეკონომიურ და კულტურულ დარგებში ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. მათ მიაჩნიათ, რომ ორი ქვეყნის ასეთი ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა სასარგებლო იქნება მათი ქვეყნების მშვიდობიანი განვითარებისათვის, ისევე როგორც საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის.

6. ორივე პრემიერ-მინისტრი თანახმაა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და ინდონეზიის რესპუბლიკამ უნდა დაიცვან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა განამტკიცონ ორივე ქვეყნის ურთიერთგაგება და მეგობრული ურთიერთობა. ორივე პრემიერ-მინისტრი ძლიერ მოხარულია, რომ შესაძლებლობა მიეცათ შეხვედროდნენ და აზრები გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის. მათ მიაჩნიათ, რომ ეს ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს".

## იდენის პასუხი კითხვებზე თემთა პალატაში

ლონდონი, 28 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს პარლამენტის ორი წევრი—ლეიბორისტები უილიამ უორბი და არტურ ჰენდერსონი შეეკითხნენ პრემიერ-მინისტრ იდენს, თუ რა წარმატებაა მიღწეული იმ მხრივ, რომ მოეწყოს მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე.

იდენმა კვლავ გაიმეორა თავისი თეზისი, რომ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებას წინ უნდა უძღოდეს პირიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია.

შემდეგ მან თქვა, რომ ინგლისის მთავრობას სურს „შეისწავლოს საბჭოთა მთავრობასთან ერთად, თუ რამდენად შესაძლებელია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ყველა მოუწესრიგებელ საკითხზე შეთანხმების მიღწევა".

იდენმა დასძინა: „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ძალე მოხერხდება მოეწყოს თათბირი ამ მიზნის მისაღწევად. ინგლისის მთავრობა მზად იქნება მიიღოს მონაწილეობა თათბირებში ყოველ დონეზე — მთავრობათა მეთაურების თათბირი იქნება ეს, თუ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი".

ერთ-ერთმა ლეიბორისტმა ჰკითხა: „შეგიძლიათ თუ არა პირდაპირ გვიპასუხოთ მარტივ კითხვაზე? მარშალი ბულგანინი მზად არის შეხვდეს პრემიერ-მინისტრს და პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, როგორც კი შესაძლებელი იქნება ამ შეხვედრის თარიღის დათქმა. რა უშლის ახლა ხელს პრემიერ-მინისტრს დანიშნოს ისეთი თარიღი?"

ამის პასუხად იდენმა განაცხადა: „ძალიან მსურს შეეხვდე მარშალ ბულგანინს, მაგრამ მიზანი მოლაპარაკებისა, რომელიც ამჟამად ლონდონში მიმდინარეობს, (იგულისხმება ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ექსპერტთა თათბირი. — რედ.), ის არის, რომ ვცადოთ ჩვენს მოკავშირეებს შევუთანხმოთ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების მოწყობის გეგმა".

მეორე ლეიბორისტმა ჰკითხა: „პრემიერ-მინისტრი ხომ არ გამოიჩენს ინიციატივას, როგორც ამას თემთა პალატა მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე მოეწყოს თათბირი უმაღლეს დონეზე".

იდენმა კვლავ ის დაიმოწმა, რომ ახლა ინგლისი თავის მოკავშირეებთან განიხილავს ამ საკითხების მოწესრიგების გზებსა და საშუალებებს.

„ჩვენს მოკავშირეებს ჩვენს წინადადებებს გავაცნობთ აქ, ლონდონში, და ეჭვი არ მეპარება, რომ შევიმუშავებთ გონივრულ გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს იმის შესაძლებლობას, რომ მოეწყოს მოლაპარაკება ამ სულისკვეთებით".

კითხვაზე, შეიტანა თუ არა მთავრობამ რაიმე გარკვეული წინადადება, რომ ავსტრიის საკითხებზე თათბირის დამთავრების შემდეგ მოლაპარაკება მოეწყოს უმაღლეს დონეზე, იდენმა უპასუხა: „მე არ მიმაჩნია, რომ ჩვენ (დასავლეთის სახელმწიფოებს. — რედ.) ჩვენს შეხედულებებზე უნდა ვილაპარაკოთ მანამდე, სანამ ამ შეხედულებებს შევათანხმებდეთ".

## ბრძანება

**თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი**

**№ 11.**

1955 წ. 29 აპრილი. ქ. თბილისი.

**თბილისის გარნიზონის ჯარების პარადის შესახებ 1955 წლის 1 მაისს.**

§ 1.

1955 წლის 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე ინიშნება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

§ 2.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **ი. ი. ფედიუნინსკი.**

§ 3.

პარადის სარდლობა მეგრძანა მე.

§ 4.

პარადის დასაწყისი დილის 9.00 საათზე მოსკოვის დროით.

§ 5.

პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები განსაკუთრებული გეგმით.

§ 6.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო, საპარადოა.

§ 7.

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 8 საათსა და 30 წუთზე.

§ 8.

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოდპოლკოვნიკმა **ი. ტ. მაკუშევმა** მოახდინოს საარტილერიო სალუტი ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

**თბილისის გარნიზონის უფროსი**
**გენერალ-მაიორი ვ. ფ. გლადკოვი.**

## პროდუქტები საღამოსასწაულოდ

თბილისის მახლობლად მდებარე რაიონების კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს უგზავნიან დედაქალაქის მშრომელებს საღამოსასწაულოდ. გუშინ პროდუქტებით დატვირთული 57 ავტომანქანისაგან შემდგარი კოლონა, რომელსაც ამშვენებდა ლოზუნგი — „ქალაქის მოსახლეობას მივაწოდოთ მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქტები", გამოგზავნეს მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა.

პროდუქტები გატანილ იქნა გასაყიდად სტალინის სახელობის და კიროვის სახელობის საკოლმეურნეო ბაზრებში. კოლმეურნეობებმა მოიტანეს 8 ტონა ხორცი, 12 ტონა კარტოფილი, 1.500 ფრთა ქათამი, 12.000 ცალი კვერცხი, სხვადასხვა ბოსტნეული, კარაქი, ყველი, ხორბალი, ფქვილი, ცხვარი, გოჭი, ღვინო და სხვ.

განსაკუთრებით ბევრი პროდუქტები გამოგზავნეს ამ რაიონის სტალინის, კალინინის, კიროვის, ედანოვის, ვოროშილოვის, მალენკოვის, დიმიტროვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ამავე დღეს თბილისის მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები შემოიტანეს თეთრი წყაროს, გარდაბნისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობებმა.

## სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ეროვნული განვითარების მეხუთე სახელმწიფო გეგმა

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-9 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1955 წლის 24 აპრილს ქალაქ სტალინოში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 080169 | 22*) | 1.000 | 085407 | 05*) | 1.000 | 090540 | 1—50 | 200 | 095907 | 29*) | 10.000 |
| 080471 | 41*) | 1.000 | 085461 | 1—50 | 200 | 090554 | 02*) | 1.000 | 096044 | 1—50 | 200 |
| 080685 | 32*) | 1.000 | 085566 | 08*) | 1.000 | 090571 | 1—50 | 200 | 096118 | 47*) | 1.000 |
| 080706 | 45*) | 1.000 | 085577 | 1—50 | 200 | 090899 | 02*) | 1.000 | 096258 | 1—50 | 500 |
| 080759 | 1—50 | 200 | 085646 | 02*) | 1.000 | 090914 | 1—50 | 500 | 096323 | 04*) | 1.000 |
| 080794 | 32*) | 1.000 | 085664 | 04*) | 25.000 | 090982 | 49*) | 1.000 | 096636 | 1—50 | 200 |
| 080812 | 17*) | 1.000 | 085704 | 32*) | 1.000 | 091060 | 15*) | 5.000 | 096740 | 14*) | 1.000 |
| 080977 | 1—50 | 500 | 085740 | 38*) | 1.000 | 091496 | 32*) | 1.000 | 096913 | 1—50 | 200 |
| 080997 | 29*) | 1.000 | 085743 | 1—50 | 200 | 091576 | 1—50 | 200 | 097002 | 13*) | 1.000 |
| 081125 | 37*) | 1.000 | 085768 | 12*) | 1.000 | 092204 | 15*) | 1.000 | 097141 | 03*) | 1.000 |
| 081272 | 36*) | 1.000 | 085837 | 19*) | 10.000 | 092221 | 05*) | 1.000 | 097306 | 1—50 | 500 |
| 081489 | 43*) | 1.000 | 085902 | 25*) | 1.000 | 092305 | 16*) | 1.000 | 097351 | 1—50 | 500 |
| 081589 | 1—50 | 200 | 085977 | 39*) | 1.000 | 092707 | 1—50 | 200 | 097411 | 1—50 | 200 |
| 081617 | 02*) | 5.000 | 086047 | 50*) | 1.000 | 092751 | 28*) | 1.000 | 097497 | 1—50 | 500 |
| 081767 | 38*) | 1.000 | 086090 | 20*) | 1.000 | 092877 | 19*) | 1.000 | 097792 | 1—50 | 200 |
| 081829 | 35*) | 1.000 | 086216 | 1—50 | 500 | 092916 | 1—50 | 200 | 097849 | 1—50 | 500 |
| 081855 | 1—50 | 200 | 086490 | 12*) | 1.000 | 092937 | 1—50 | 200 | 098099 | 1—50 | 500 |
| 081905 | 25*) | 1.000 | 086619 | 24*) | 1.000 | 092997 | 15*) | 1.000 | 098230 | 40*) | 1.000 |
| 081998 | 19*) | 1.000 | 086755 | 16*) | 1.000 | 093070 | 22*) | 1.000 | 098235 | 04*) | 1.000 |
| 082116 | 1—50 | 200 | 086855 | 42*) | 1.000 | 093071 | 1—50 | 200 | 098288 | 19*) | 1.000 |
| 082305 | 1—50 | 500 | 086901 | 26*) | 1.000 | 093349 | 1—50 | 200 | 098446 | 05*) | 1.000 |
| 082351 | 1—50 | 500 | 086946 | 11*) | 1.000 | 093526 | 1—50 | 500 | 098462 | 15*) | 5.000 |
| 082808 | 07*) | 5.000 | 086978 | 1—50 | 200 | 093587 | 1—50 | 200 | 098548 | 29*) | 1.000 |
| 082849 | 44*) | 1.000 | 087027 | 24*) | 1.000 | 093810 | 10*) | 1.000 | 098610 | 30*) | 1.000 |
| 082883 | 26*) | 1.000 | 087435 | 09*) | 1.000 | 093878 | 36*) | 1.000 | 098649 | 28*) | 1.000 |
| 083141 | 1—50 | 200 | 087698 | 26*) | 1.000 | 094055 | 26*) | 1.000 | 098710 | 1—50 | 200 |
| 083237 | 49*) | 1.000 | 087705 | 1—50 | 200 | 094266 | 49*) | 1.000 | 098770 | 37*) | 1.000 |
| 083280 | 19*) | 1.000 | 087816 | 1—50 | 200 | 094307 | 35*) | 1.000 | 098821 | 12*) | 5.000 |
| 083357 | 25*) | 1.000 | 088124 | 1—50 | 200 | 094351 | 22*) | 1.000 | 098873 | 42*) | 1.000 |
| 083371 | 1—50 | 200 | 088156 | 02*) | 1.000 | 094411 | 1—50 | 500 | 098881 | 1—50 | 200 |
| 083777 | 36*) | 1.000 | 088179 | 13*) | 1.000 | 094493 | 39*) | 5.000 | 098944 | 1—50 | 200 |
| 084021 | 1—50 | 500 | 088602 | 23*) | 1.000 | 094521 | 06*) | 1.000 | 098994 | 38*) | 1.000 |
| 084041 | 39*) | 1.000 | 088688 | 1—50 | 200 | 094809 | 39*) | 1.000 | 099046 | 1—50 | 500 |
| 084228 | 29*) | 1.000 | 089086 | 1—50 | 200 | 094839 | 07*) | 1.000 | 099149 | 09*) | 1.000 |
| 084251 | 1—50 | 500 | 089236 | 48*) | 1.000 | 094901 | 1—50 | 500 | 099292 | 1—50 | 200 |
| 084314 | 18*) | 1.000 | 089390 | 1—50 | 200 | 094909 | 26*) | 5.000 | 099396 | 08*) | 1.000 |
| 084365 | 50*) | 1.000 | 089546 | 1—50 | 500 | 095028 | 28*) | 1.000 | 099565 | 07*) | 5.000 |
| 084370 | 1—50 | 500 | 089706 | 1—50 | 200 | 095080 | 1—50 | 200 | 099658 | 49*) | 1.000 |
| 084487 | 1—50 | 200 | 089791 | 25*) | 10.000 | 095174 | 36*) | 1.000 | 099659 | 18*) | 1.000 |
| 084597 | 13*) | 1.000 | 089815 | 1—50 | 200 | 095189 | 29*) | 1.000 | 099776 | 12*) | 1.000 |
| 084639 | 47*) | 1.000 | 089897 | 44*) | 1.000 | 095290 | 1—50 | 200 | 099813 | 1—50 | 200 |
| 084882 | 37*) | 5.000 | 089936 | 28*) | 5.000 | 095334 | 38*) | 1.000 | 099852 | 42*) | 1.000 |
| 085137 | 1—50 | 200 | 089959 | 05*) | 10.000 | 095609 | 43*) | 10.000 | 099881 | 24*) | 1.000 |
| 085177 | 1—50 | 200 | 090020 | 22*) | 1.000 | 095675 | 1—50 | 200 | 099982 | 04*) | 1.000 |
| 085179 | 1—50 | 500 | 090212 | 1—50 | 200 | 095800 | 1—50 | 200 | | | |
| 085220 | 24*) | 1.000 | 090430 | 47*) | 1.000 | 095903 | 1—50 | 200 | | | |

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

**მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — სტალინოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე**
**დ. ი. აღამეული.**

**კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა.**

## დატარებითი ვაჭრობა დღესასწაულის დღეებში

1 და 2 მაისს მშრომელთა დემონსტრაციისა და სახალხო სეირნობის დროს მშრომელთა მომსახურების მიზნით თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე მოეწყობა კვების პროდუქტების დატარებითი ვაჭრობა. გამოტანილ იქნება ღვეზელი, ფუნთუშეული, ბუტერბროდები, ცხელი ძეხვი და კოტლეტი, საკონდიტრო ნაწარმი, ლუდი, გამაგრილებელი წყლები, ნაყინი და სხვ.

ამ დღეებისათვის თბილისის კვებვაჭრობისა და სასადილოების ტრესტებმა, თბილხლებოსტანვაჭრობამ, რესტორანების ტრესტმა, მაცივარკომბინატმა და კვების სხვა ორგანიზაციებმა დატარებითი ვაჭრობისათვის გამოყვეს 46 ავტომანქანა და 165 დამტარებელი. მარტო მაცივარკომბინატიდან იმუშავებს 4 ავტომანქანა და 70 დამტარებელი.

## ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა 1 და 2 მაისს

1 მაისს ქალაქ თბილისის ტრამვაი იმუშავებს დილის 5 საათიდან დილის 7 საათსა და 30 წუთამდე, ხოლო № 6, 10, 11 და 13 — დილის 9 საათამდე, შემდეგ მუშაობას განაახლებს დღის 12 საათზე, გარდა №№ 1, 2 და 5 მარშრუტებისა, რომლებიც მუშაობას დაიწყებენ მშრომელთა დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

ტროლეიბუსები და ავტობუსები მუშაობენ დილის 5 საათიდან დილის 7 საათსა და 30 წუთამდე და მუშაობას განაახლებენ მშრომელთა დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

ტრამვაი, ტროლეიბუსები და ავტობუსები იმოძრავებენ ღამის 2 საათამდე.

2 მაისს ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტი იმუშავებს ჩვეულებრივი განრიგით.

მსუბუქი ტაქსი 1 და 2 მაისს იმუშავებს დღეღამის განმავლობაში.

**რედაქტორი ნ. ჯაში.**


**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

30 აპრილს, 1 და 2 მაისს
**ზამთრის სეზონის დახურვა**
**იუმორისა და სატირის საღამოები და კლოუნადა**
**მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ცირკის მსახიობი**
**კონსტანტინე ბერმანი**
მსახიობები: ა. არონოვი, ვ. ბაიდინი, ლ. მიხაილოვი, ვ. უსპენსკი.
ძალოსანთა ატრაქციონი მსოფლიოს რეკორდსმენი
**გრიგოლ ნოვაკი**
**დიდი პარადი — პროლოგი**
სადღესასწაულო წარმოდგენა
საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატების მონაწილეობით
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

ორშაბათს, 2 მაისს,
**დღის ორი საბავშვო სადღესასწაულო წარმოდგენა**
დასა